პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 28 (19470) ◆ კვირა, 2 თებერვალი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

## ჩვენს დიად სამშობლოში

[illegible] [illegible] კორესპონდენტები [illegible]



# საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის დადგენილება

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო

**მოისმინა** და განიხილა რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში (მომხსენებელი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ჯ. ი. პატიაშვილი), რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის XXVII ყრილობა აღნიშნავს, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის წლებში საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახალი წარმატებები მოიპოვა საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური და სულიერი პროგრესის საქმეში. კიდევ უფრო განვითარდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, გაუმჯობესდა საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა, განმტკიცდა მათი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, გაფართოვდა და გაღრმავდა სოციალისტური დემოკრატია, უფრო სრულად ხორციელდება სოციალური სამართლიანობის პრინციპები. კიდევ უფრო განმტკიცდა ჩვენი სახელმწიფოს ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე.

ახლანდელ ეტაპზე და ისტორიული პერსპექტივით პარტიისა და საბჭოთა საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანესი პრობლემების მთლიან დამუშავებას წარმოადგენენ სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის, პარტიის წესდების ცვლილებების, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტები. მათში მოცემულია საშინაო და საერთაშორისო ცხოვრების ძირითადი ტენდენციების ღრმა მარქსისტულ-ლენინური ანალიზი, ყოველმხრივი თეორიული განზოგადებანი, რეალისტური დასკვნები და რეკომენდაციები. ეს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დოკუმენტები, რომლებიც მხურვალედ მოიწონეს მათი საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს, საიმედო მეცნიერულ საფუძველს უქმნიან და მძლავრ სტიმულს აძლევენ საბჭოთა ადამიანების ალმშენებლობითი საქმიანობის შემდგომ განვითარებას.

განუხრელად იცავს რა ვ. ი. ლენინის ანდერძს, ქვეყნის კომუნისტური პარტია გულდაჯერებით მიუძღვის საბჭოთა ხალხს სოციალიზმის სრულყოფის გზით, კომუნისტური ალმშენებლობისა და მშვიდობის კურსით. ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარეობის ახალი კონკრეტული გამოვლინება გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის განცხადება და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისადმი, რომლებშიც ჩამოყალიბებულია დიდი საგარეო-პოლიტიკური ინიციატივების კომპლექსი. რესპუბლიკის, ისევე როგორც მთელი ქვეყნის, მშრომელები მხურვალედ იწონებენ და მხარს უჭერენ ამ დოკუმენტების შინაარსს, მიიჩნევენ მათ ჩვენი საშინაო და საგარეო პოლიტიკის სულისკვეთების, ადამიანისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის მათი ორგანული ერთიანობის გამოხატულებად.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს კომუნისტური პარტია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, საბჭოთა მთავრობის მუდმივი ყურადღებითა და მხარდაჭერით მთელ თავის ორგანიზატორულ და პოლიტიკურ საქმიანობას წარმართავდა პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

რესპუბლიკის კომუნისტების, მშრომელების სახელით ყრილობა აცხადებს, რომ მთლიანად უჭერს მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის გეზს, რომლითაც განსახიერებულია მთელი საბჭოთა ხალხის ფიქრები, მისწრაფებები და იმედები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახულმა მაღალი პრინციპულობის, მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის ვითარების საყოველთაო დამკვიდრების, დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცების, შემოქმედებითი ინიციატივის, გაბედული ძიების, ნაკლოვანებათა პირდაპირი და გულახდილი კრიტიკის მხარდაჭერის, წინსვლის შემაფერხებელი ყველა დაბრკოლების დაძლევის კურსმა კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაზე, რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატზე, ხელი შეუწყო დამატებითი რეზერვების გამოვლენასა და გამოყენებას მეთერთმეტე ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური და კულტურული პროგრესისათვის, აყვავებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ლენინური ზრუნვის ახალი მკაფიო გამოხატულება გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „1986-1990 წლებში ქალაქ თბილისის საქალაქო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა ცხოვრების პირობების არსებითს გაუმჯობესებას.

ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საქართველოს კომპარტიის მუშაობა რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარებისათვის კონკრეტულად განსახიერდა იმით, რომ ხუთწლედის წლებში გადიდდა საქართველოს სსრ წილი ქვეყნის საერთო პოტენციალში, შემცირდა მისი შედარებითი ჩამორჩენა საშუალო საკავშირო დონისაგან საერთო-ეკონომიკური და ინდუსტრიული განვითარების მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით.

პრაქტიკულად დაძლეულია საშუალო საკავშირო დონისაგან ჩამორჩენა ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავლის წარმოების მიხედვით. მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტის მატებამ 28,6 პროცენტი შეადგინა.

სამრეწველო პროდუქციის ზრდის მეთერთმეტე ხუთწლედის საგეგმო დავალებანი ვადამდე შესრულდა. წარმოების მოცულობა 30,4 პროცენტით გაიზარდა. ამასთან მატების 71,2 პროცენტი მიღწეულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით. ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითმა წილმა მის საერთო მოცულობაში, რომელიც ატესტაციას ექვემდებარება, 49 პროცენტი შეადგინა. უზრუნველყოფილია პროდუქციის თვითღირებულების ზეგეგმითი შემცირება. მრეწველობის სტრუქტურაში შესამჩნევად გაიზარდა პროგრესული დარგების ხვედრითი წილი ელექტრონული, ელექტროტექნიკური, რადიოტექნიკური, ხელსაწყოთსაშენებელი მრეწველობის პროდუქციის წარმოების დაჩქარებული გადიდების გზით.

წარმოების ნიადაგ მზარდი ინტენსიფიკაციის გზით ვითარდებოდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაც. სოფლის მშრომელებმა ხუთწლიანი დავალების გადამეტებით დაამზადეს თითქმის 530 მილიონი მანეთის მთელი რიგ უმნიშვნელოვანეს სახეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქცია.

გასულ ხუთწლედთან შედარებით სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერება 12,5 პროცენტით გაიზარდა. 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე გაანგარიშებით მთლიანი პროდუქციის წარმოების მოცულობამ 73,5 ათასი მანეთი შეადგინა. მეათე ხუთწლედთან შედარებით საერთო-საკავშირო ფონდში გაიგზავნა 1,5-ჯერ მეტი ციტრუსი, 1,8-ჯერ მეტი ხილი, 1,2-ჯერ მეტი ბოსტნეული და კარტოფილი.

დადებითი ძვრები მოხდა კაპიტალურ მშენებლობაშიც. მეათე ხუთწლედთან შედარებით ამოქმედებული ძირითადი ფონდების ღირებულება 29 პროცენტით გაიზარდა. წარმატებით შესრულდა ძირითადი ფონდების ამოქმედების, მათ შორის ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის, კაპიტალდაბანდებათა ათვისებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა პროგრამა.

მნიშვნელოვნად განვითარდა ყველა სახეობის ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა.

რესპუბლიკაში წარმოებს მიზანმიმართული მუშაობა სახალხო მეურნეობის მართვის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის. განხორციელდა მთელი რიგი დარგების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესების, დარგთშორისი კავშირურთიერთობის განმტკიცების, ტერიტორიულ-საწარმოო გაერთიანებათა შექმნის, სამეურნეოანგარიშიანი საწყისების გაძლიერების ღონისძიებანი, რამაც ხელი შეუწყო მთელი სამეურნეო მექანიზმის უფრო ეფექტიან მოქმედებას.

გარკვეული გამოცდილებაა შეძენილი მეცნიერების განვითარებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მართვის სრულყოფის საქმეშიც. ამაღლდა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების სახელმწიფო, დარგობრივი და რეგიონალური გეგმების, მიზნობრივი და კომპლექსური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის დონე. თითქმის ერთიორად გაიზარდა ახალი ტექნიკის საგეგმო ღონისძიებათა, სამეცნიერო დაწესებულებების ნამუშევართა დანერგვის შედეგად მიღებული ეკონომიკური ეფექტი.

თანამიმდევრულად ხორციელდებოდა მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების, მათი შრომისა და ყოფაცხოვრების პირობებისათვის ზრუნვის გაძლიერების კურსი. მეთერთმეტე ხუთწლედში მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი გაიზარდა 15 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება — 26 პროცენტით და მეტად. მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მისაცემლები და შეღავათები გადიდდა 23 პროცენტით, ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავალი — 19,4 პროცენტით.

რესპუბლიკაში შემუშავდა და დამტკიცდა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების 1986-2000 წლების კომპლექსური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მისი ძირითადი სახეობებით მოსახლეობის მაქსიმალურ უზრუნველყოფას. ხუთწლეულის მანძილზე საცალო საქონელბრუნვის მოცულობა გაიზარდა 20,3 პროცენტით, ხოლო საყოფაცხოვრებო მომსახურებისა — 49,8 პროცენტით.

განმტკიცდა ჯანმრთელობის დაცვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაუმჯობესდა მოსახლეობის სამედიცინო დახმარება, გაფართოვდა სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების, ტურისტული და ფიზკულტურულ-სპორტული ობიექტების ქსელი.

გეგმაზომიერი მუშაობა წარმოებს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა განხორციელების, უმაღლესი და საშუალო განათლების სპეციალისტთა მომზადების დონის ამაღლების მიზნით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად, იდეურ-აღმზრდელობითი და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მიზნად ისახავდა სამეურნეო ამოცანათა გადაწყვეტის იდეოლოგიურ უზრუნველყოფას, ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდის სრულყოფას, ახალი სოციალისტური წეს-ჩვეულებების დანერგვას, კერძომესაკუთრული ტენდენციების გამოვლინებების, სხვა ნეგატიური მოვლენების, მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლას. მნიშვნელოვანი მეცადინეობა ხმარდება დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებას, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევას.

გამოინახა მასებთან გულახდილი დიალოგის ახალი ქმედითი ფორმები საზოგადოებრივი აზრის შესწავლისა და გათვალისწინების, მშრომელთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობაში ხელმძღვანელი კადრების მონაწილეობის საფუძველზე.

არსებითად გააქტიურდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მშვიდობისმოყვარული საგარეო-პოლიტიკური კურსის, პარტიის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მიღწევათა, საბჭოთა ცხოვრების წესის უპირატესობათა პროპაგანდა; უფრო ეფექტიანად მიმდინარეობს მტრული იდეოლოგიური ზემოქმედების ცდების მხილება.

მთელი იდეოლოგიური მუშაობის მნიშვნელოვან გააქტიურებას ხელი შეუწყო სსრ კავშირისა და საბჭოთა საქართველოს შექმნის 60 წლისთავის, მეგობრული გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავის, დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის მომზადებამ და დღესასწაულობამ.

გაუმჯობესდა კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროსადმი პარტიული ხელმძღვანელობა. შემოქმედი ინტელიგენცია სულ უფრო აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, უფრო ხშირად მიმართავს თანამედროვე თემატიკას, ესწრაფვის ჩვენი საზოგადოების სულიერ სიმდიდრეთა სწორ მხატვრულ ასახვას, რის შედეგადაც შეიქმნა მთელი რიგი ნაწარმოებები, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანების, განსაკუთრებით მოზარდი თაობის კომუნისტურ აღზრდას. რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში დიდი წვლილი შეაქვთ მის ავტონომიურ ფორმირებებს, მრავალეროვანი რეგიონების შემოქმედ მუშაკებს.

საანგარიშო პერიოდში შემოქმედებითი ძიებითა და აქტუალურობით აღინიშნა ჟურნალისტთა მრავალი კოლექტივის მუშაობა. გაზეთების გამოსვლები, რადიოტელევიზიის გადაცემები უფრო თანამიმდევრული და მიზანმიმართული გახდა, გაიზარდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ეფექტიანობა რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ამოცანათა გაშუქების, შრომითი კოლექტივების მუშაობის დადებითი გამოცდილების პროპაგანდისა და გავრცელების საქმეში, ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ, საბჭოთა ცხოვრების წესის ნორმების დამკვიდრებისათვის ბრძოლის საქმეში.

დასახული პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას ისახავდა მიზნად პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული საქმიანობის უფრო ეფექტიანი ფორმებისა და მეთოდების, რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებზე პარტიული ზეგავლენის გაძლიერების გზების ძიება.

(გაგრძელება მე-2 გვ.).

## ჩრდილოური რეისები

**წარმატებით** დამთავრდა მსოფლიოში უდიდესი თვითმფრინავის ან-124-ის პირველი სამუშაო რეისი, რომელმაც იაკუტელ ალმასმომპოვებლებს, გიგანტური საკარიერო თვითმცლელის კვანძები ჩაუტანა. ერთი კვირის მანძილზე „რუსლანმა“ 25 ათასი კილომეტრი იფრინა და ჰაერში 35 საათი დაჰყო.

სურათზე: ეკიპაჟის მეთაური, I კლასის გამომცდელი მფრინავი ა. ვ. გალუნენკო, I კლასის გამომცდელი შტურმანი ა. პ. პოდდუბნი და I კლასის უფროსი გამომცდელი ბორტინჟინერი ა. მ. შულეშჩენკო.

ვ. რეპიკის ფოტო.

## ბელორუსიაში



**მსოფლიოში** ყველაზე მინიატიურული კარდიომონიტორი — გულის კუნთის სადიაგნოზო ხელსაწყო დაამზადეს მეცნიერებმა.

ა. სენცევისა და ვ. ვიტჩენკოს ფოტო.



## ნარინის ენერგია

**ყირგიზეთში** ფართოდ ვითარდება ჰიდროენერგეტიკა. მარტო მდინარე ნარინზე, მთაში შენდება კასკადი, რომელშიც 15 სადგური იქნება. ოთხი მათგანი უკვე სრული ძალით მუშაობს. ისინი იაფ ელექტროენერგიას იძლევიან, თანაც იმდენს, რომ მარტო ყირგიზეთს კი არა, მეზობელ რესპუბლიკებსაც ჰყოფნის.

ნარინის კასკადის ყველაზე დიდი მოქმედი სადგურია ტოქტოგულის ჰესი — მისი სიმძლავრეა 1,8 მილიონი კილოვატი.

სურათზე: აქ აგებენ ტოქტოგულჰესის კაშხალს.

ს. მეტელიცას და ბ. აშირბაევის ფოტო.

## ნიას სანახებში

**ასე** გამოიყურება ქართველ ბამელთა მიერ აშენებული დაბის ნიას სანახები ზამთარში. თვლემენ დათოვლილი მარადმწვანე ტყეები.

გ. დადვაძის ფოტო.



## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

# მომჭირნეობა ყოველთვის, ყველაფერში

**მიმდინარე** ხუთწლედში მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს სათბობ-ენერგეტიკული რესურსების წარმოება. ჩქარდება ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტემპი. ფართოვდება თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური. იწყება ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურისა და საქართველოს ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები. დასახულის განხორციელება 1990 წლისათვის ელექტროენერგიის წლიურ გამომუშავებას 2,3 მილიარდ კილოვატსაათამდე გაგვაზრდევინებს.

რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო კომპლექსს, რომელიც ინტენსიურად ვითარდება, სჭირდება ყველა სახეობის სულ უფრო მეტი ენერგორესურსები. სწორედ ამიტომ დადგა ასე მწვავედ მათი რაციონალური გამოყენების საკითხი. ეს კიდევ ერთხელ აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული წარმოების პროცესების მართვისა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მოხმარების საკითხთა ოპერატიული გადაწყვეტის სამუშაო ჯგუფის მორიგ სხდომაზე. მაგრამ, როგორც ენერგოზედამხედველობის მიერ მოწყობილმა შემოწმებამ ცხადყო, მარტო იანვარში შვიდ საწარმოში გამოვლინდა ელექტროენერგიის უყაირათო ხარჯვის ფაქტები. მათ შორის არის წნორის მექანიკური ქარხანა, ვანის სართავი და თელავის სამკერვალო ფაბრიკები, ლაგოდეხის საკონსერვო ქარხანა და სხვა საწარმოები. საქმე იქამდე მივიდა, რომ ეს საწარმოები გამოირთო ქსელიდან. და მხოლოდ ამ ღონისძიებამ აიძულა აღნიშნულ საწარმოთა ხელმძღვანელები ეზრუნათ მომჭირნეობის რეჟიმის დაცვისათვის.

კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატსა და თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხანაში, მათ მიმართ ენერგოზედამხედველობის მიერ სანქციების გამოყენების შემდეგ, ორ კვირაში დაამყარეს წესრიგი თავიანთ ენერგეტიკულ სამსახურებში. თითქოს ასეთი საწარმოების ხელმძღვანელებისათვის მხოლოდ ახლა გახდა ცხადი, რომ ყაირათიანად უნდა ხარჯონ ენერგეტიკული რესურსები. პირველადი პარტორგანიზაციების ყურადღება მიეპყრო აგრეთვე იმას, რომ განუწყვეტლივ უნდა სწავლობდნენ მომჭირნეობის საკითხებს, როგორც ეს მოითხოვა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობამ.

სამუშაო ჯგუფის სხდომაზე გაანალიზეს მაზუთის მარაგთან დაკავშირებული მდგომარეობა. მისი მარაგი უნდა შეივსოს. არადა, იგივე თბილისის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში მაზუთსაცავი ნახევრად ცარიელია. სამწუხაროდ, ეს ერთადერთი ფაქტი როდია.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურების საქმიანობის ანალიზს. მათ მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ ყოველი ამოცანის გადაწყვეტისას საჭიროა იხელმძღვანელონ უწინარეს ყოვლისა ადამიანებისათვის, მათი კეთილდღეობისათვის ზრუნვით. საცხოვრებელ სახლში თუ სხვა სოციალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტში სითბოსა და სინათლის გაუმართლებელი გამორთვის ყოველი ფაქტი საგანგებო შემთხვევად უნდა ითვლებოდეს.

სამუშაო ჯგუფის სხდომის შედეგები შეაჯამა მისმა ხელმძღვანელმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ვ. ნიკოლსკიმ.

(საქინფორმი).

აქტუალური

ინტერვიუ

# მოედინება ცისფერი სათბობი

**ქუთაის-სოხუმის** გაზსადენის გაყვანას პრინციპული მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის, — აღინიშნა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე.

**საქინფორმის კორესპონდენტმა ა. კოკაიამ თხოვნით მიმართა რესპუბლიკის გაზის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს გ. ლობჟანიძეს, გაეცნო, თუ როგორ მიდის საქმეები ამ მნიშვნელოვან მშენებლობაზე. აი, რა თქვა მან:**

— გაზსადენს აგებენ საქართველოს სსრ გაზიფიკაციის კომიტეტისა და გაერთიანება „საქტრანსგაზის“ კოლექტივები, უკვე დამთავრდა 212 კილომეტრ გაზსადენის მოწყობილობის მონტაჟი. მაგრამ იმ დღემდე, როცა ცისფერი ალი აინთება სოხუმის, ზუგდიდის, ცხაკაიას, სამტრედიის, ხობის, აბაშის, დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებისა და რაიონების მცხოვრებთა ოჯახებში, ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა შესასრულებელი.

212 კილომეტრი გაზსადენიდან 145 გაიყვანეს კომიტეტის ქვეგანყოფილებების მუშაკებმა. მშენებლობა მიმდინარეობდა რთულ გეოლოგიურ პირობებში — ჯერ კოლხეთის დაბლობზე, შემდეგ კავკასიონის მთავარი ქედის ფერდობებზე. მრავალჯერ მოგვიხდა გადაგვეკვეთა საავტომობილო და რკინიგზის მაგისტრალები, მდინარეები, სხვა ბუნებრივი წინააღმდეგობანი.

მაგალითად, 800 მეტრი მილის გაყვანა მოგვიხდა ენგურის ჰიდროელექტროსადგურის არხის ქვეშ. ზოგიერთ უბანზე გაზსადენი გაგვყავდა მიწისქვეშ 100 მეტრ სიღრმეზე, სხვა უბნებზე კი — რკინიგზის ხიმინჯებზე. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გვერდის ავლამ დამატებითი მოცულობის სამუშაოები მოითხოვა. არ დავაზიანეთ დასავლეთ საქართველოს მეურნეობების ციტრუსისა და ჩაის პლანტაციები. ამ სამუშაოებმა რამდენადმე გააჭიანურა გაზსადენის გაყვანის დამთავრება.

ჩაწყობილი მილები მრავალგზის შემოწმდა, „გაშუქდა“ რენტგენით, სხვადასხვანაირად გაკონტროლდა.

**— კიდევ რა სამუშაოებია შესასრულებელი?**

— ახლა, როცა ძირითადი სამუშაოები დამთავრდა, გაზი უნდა მივაწოდოთ უშუალოდ მომხმარებელს. ამისათვის კი საჭიროა მწყობრში ჩადგეს ავტომატური აირმანაწილებელი სადგურები, რომლებიც გაზის წნევის შემცირების საშუალებას იძლევიან. გაზსადენში ხომ სათბობი 55 ატმოსფეროს წნევით მოედინება. ბინებში კი იგი 5-6 ატმოსფეროს არ უნდა აღემატებოდეს. ასეთი სადგურის მშენებლობა უკვე მიმდინარეობს სოხუმის მახლობლად. მთელ რიგ ქალაქებში დაიწყო აგრეთვე მანაწილებლების დამონტაჟება საცხოვრებელი სახლებისა და დაწესებულებებისაკენ.

**— როგორია მთლიანად რესპუბლიკის გაზიფიკაციის მდგომარეობა?**

— 26 წელი შესრულდა, რაც საქართველოში პირველად მივიღეთ ბუნებრივი გაზი — ჯერ რუსთავში, შემდეგ — თბილისში. დღეს მას 2500 სამრეწველო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტი, 40-ზე მეტი ქალაქი და რაიონული ცენტრი, 50 სოფელი იღებს. ასე რომ, მთლიანად რესპუბლიკა გაზიფიცირებულია. მაგრამ მოსახლეობის ნაწილი ჯერ კიდევ გათხევადებული გაზით სარგებლობს, ძირითადად, დასავლეთ საქართველოში. ქუთაის-სოხუმის მაგისტრალური გაზსადენის ამოქმედებით პრობლემა მნიშვნელოვანწილად გადაწყდება. ამ მაგისტრალიდან ხომ ფოთისა და ბათუმის მიმართულებით გავიყვანთ განშტოებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის დადგენილება

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო

(გაგრძელება)

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საკითხებს. გაფართოვდა დემოკრატიული საწყისები ხელმძღვანელთა დაწინაურების, მათი პოლიტიკური და საქმიანი თვისებების შესწავლის დროს. გაძლიერდა კონტროლი კადრების საქმიანობისადმი, დაინერგა მათი სწავლებისა და გადამზადების სხვადასხვა ფორმა. განხორციელდა მინდობილი საქმისათვის ხელმძღვანელებისადმი მომთხოვნელობის გაძლიერების სერიოზული ღონისძიებანი, უფრო დიდ მოთხოვნებს უყენებენ მათ მორალურ-ზნეობრივ სახეს.

პარტიული ორგანიზაციები მიზანმიმართულად ეწეოდნენ მუშაობას კომუნისტების ავანგარდული როლის, მათი შემოქმედებითი აქტიურობის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დაცვისათვის პერსონალური პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით. პარტიელის პატიოსანი და სპეტაკი სახისათვის ბრძოლაში უფრო მკაცრი გახდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში შერჩევა, უფრო პრინციპული შეფასება ეძლევა შეცდომებსა და ხარვეზებს პარტიაში მიღების დროს, რეგულარულად ისმენენ პარტიულ კრებებზე კომუნისტების ანგარიშებს მათ მიერ საწესდებო მოვალეობათა შესრულების შესახებ.

გაძლიერდა პარტიის ძირეული რგოლების ბრძოლისუნარიანობა, მათი როლი და გავლენა შრომითი კოლექტივების ცხოვრებასა და საქმეებზე. პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ახლა უფრო პრინციპულად აფასებენ არსებულ ნაკლოვანებებს, ამკვიდრებენ ჯანსაღი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებას. ამას ბევრად შეუწყო ხელი იმან, რომ თბილისში გაიმართა პარტიის ძირეული რგოლების საქმიანობის გაუმჯობესების პრობლემებისადმი მიძღვნილი საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, აგრეთვე პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივანთა რესპუბლიკური კრებები.

ცენტრალური კომიტეტის მეცადინეობა ხმარდებოდა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების, როგორც პოლიტიკური ხელმძღვანელობის ორგანოების როლის შემდგომ გაძლიერებას. თითოეული საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტის საქმიანობას ყოველწლიურად აანალიზებდნენ და ანალიზის შედეგების მიხედვით ეწყობოდა შეხვედრები რეგიონების ხელმძღვანელობასთან. განხორციელდა რეგიონალური პრობლემების შესწავლაში რესპუბლიკური ორგანოების მეცადინეობის კოორდინაციისა და მათს გადაჭრაში პარტიული კომიტეტებისათვის დახმარების გაწევის ღონისძიებანი.

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირის, სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების გაუმჯობესებას. ამასთან ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო დაკისრებული ფუნქციების შესრულებისათვის მათი პასუხისმგებლობის გადიდებაზე, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში მშრომელების, მთელი მოსახლეობის უფრო სრულად ჩაბმაზე.

კიდევ უფრო განვითარდა საქართველოს პარტიული ორგანიზაციების პარტიათშორისი კავშირურთიერთობა მოძმე პარტიებთან, გაფართოვდა გამოცდილების გაზიარება.

აღნიშნავს რა რესპუბლიკის ეკონომიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე პოზიტიურ პროცესებს, ყრილობას ამასთანავე მიაჩნია, რომ სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სტილსა და მეთოდებს, წარმოების ეფექტიანობის გადიდებისათვის, სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის, ადამიანთა აღზრდისათვის მუშაობას, სხვადასხვა ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლას არსებითი ხარვეზები და ნაკლოვანებანი ახლავს.

მეთერთმეტე ხუთწლედში 494 მილიონი მანეთით ნაკლები ღირებულების მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტია წარმოებული, ვიდრე ნავარაუდევი იყო. მოსალოდნელზე 555 მილიონი მანეთით ნაკლები ეროვნული შემოსავალია მიღებული.

წარმოების ზრდის ხუთწლედის დავალებები ვერ შეასრულეს სახალხო მეურნეობის ზოგიერთმა დარგმა, მთელმა რიგმა დიდმა საწარმოებმა და გაერთიანებებმა. მათ შორის არიან მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროები, გაერთიანებები „აზოტი", „ქიმბოჭკო", „საქნავთობი", „საქქვანახშირი", „ქუთაისის საავტომობილო ქარხანა", „საქსოფლმანქანა", რუსთავის მეტალურგიული და ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნები, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა.

მთელმა რიგმა სამინისტროებმა, უწყებებმა, აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა ვერ შეასრულეს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების საგეგმო დავალებანი; ნელა მიმდინარეობს მისი ასორტიმენტის განახლება, ნაწარმის ხარისხი ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებებს.

არსებითი გარდატეხა არ მომხდარა მეურნეობრიობის ზოგიერთი თვისებრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების საქმეში. მეათე ხუთწლედთან შედარებით შენელდა შრომის ნაყოფიერებისა და ფონდუკუგების ზრდის ტემპი მრეწველობაში.

დიდ რეზერვებს შეიცავს მატერიალური, ნედლეული, სათბობ-ენერგეტიკული და სხვა რესურსების ეკონომიური ხარჯვა. არ არის მიღწეული დასახული მიჯნები საზოგადოებრივი პროდუქტის მასალატევადობის შემცირების საქმეში. ხუთწლედის მანძილზე მატერიალური დანახარჯების ეკონომიამ რესურსების ხარჯის შემცირებისა და წარმოების დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფის გზით 380 მილიონი მანეთის ნაცვლად მხოლოდ 188 მილიონი მანეთი შეადგინა.

ჯერ კიდევ დაბალია მიწათმოქმედების კულტურა. სრულად არ გამოიყენება მიწის, საწარმოო ფონდების, შრომითი რესურსების პოტენციური შესაძლებლობანი. კვლავ დისპროპორციაა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასა და მის გადამუშავებას შორის.

არადამაკმაყოფილებელია მდგომარეობა საზოგადოებრივ მეცხოველეობაში. პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის მიხედვით რესპუბლიკა ქვეყანაში ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა.

მნიშვნელოვანი განსხვავებაა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რაოდენობასა და მისი რემონტის და მომსახურების შესაძლებლობას შორის, რაც არ იძლევა იმის საშუალებას, რომ საგრძნობ ძვრებს მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონის ამაღლებასა და საინჟინრო უზრუნველყოფის გაუმჯობესებაში.

ბევრი გადასაჭრელი პრობლემაა ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაში. მთლიანად ვერ კმაყოფილდება სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებანი ტვირთზიდვაზე, არ არის უზრუნველყოფილი კავშირგაბმულობის საშუალებათა სტაბილური ფუნქციონირება.

კვლავინდებურად ეკონომიკის რთული უბანია კაპიტალური მშენებლობა. აქ დაშვებულია ჩამორჩენა საწარმოო ფონდების, ჯანმრთელობის დაცვის, კომუნალური დანიშნულების ობიექტების ამოქმედებაში. ირღვევა მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები, მდარეა მისი ხარისხი და შრომის ორგანიზაციის დონე მშენებლობებზე, კვლავ იქსაქსება ძალები და სახსრები მრავალრიცხოვან ობიექტებზე.

სამედიცინო, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების სფეროში არ აღმოფხვრილა უყაირათობა, სახელმწიფო დისციპლინის დარღვევები, ადამიანებისადმი უყურადღებო დამოკიდებულების ფაქტები.

უფრო დიდ უკუგებას უნდა იძლეოდეს სამეცნიერო დაწესებულებების, შემოქმედებითი ორგანიზაციების საქმიანობა.

პარტიული ორგანიზაციების იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობაში შეინიშნება ფორმალიზმის, კამპანიურობის, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის საჭირბოროტო პრობლემებისაგან მოწყვეტის ელემენტები. ყოველთვის როდია უზრუნველყოფილი იდეოლოგიური ზემოქმედების ორგანული ერთიანობა საარსებო საწარმოო და სოციალურ ამოცანათა გადაწყვეტასთან, ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალის შემოღწევის წინააღმდეგ ბრძოლასთან. ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს, რათა გავაძლიეროთ პრესის პუბლიკაციების, ტელე და რადიოგადაცემების ქმედითობა, გავაღრმაოთ მათი იდეური, პუბლიცისტური მიმართულება, გავაძლიეროთ გავლენა სწორი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ნაკლოვანებანი სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის პროცესისა და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის საქმეში.

ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა მექრთამეობა, გამომძალველობის, საქმის ბიუროკრატიული გაჭიანურების გამოვლინებანი, ფორმალიზმი, კანონიერების დარღვევები მართვის სხვადასხვა ორგანოს აპარატებში.

ჯერ კიდევ ამოძირკვული არ არის პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისაგან, კომუნისტური მორალისა და პარტიული ეთიკისაგან გადახვევები. დაშვებული იყო სერიოზული შეცდომები საკადრო პოლიტიკაში, პროტექციონიზმი და უკონტროლობა, რამაც გამოიწვია ცალკეული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების მორალური გახრწნა.

პარტიული კომიტეტები ყოველთვის კარგად როდი ფლობენ საქმის ვითარებას ადგილებზე და უნარიანად როდი იყენებენ პარტიული ხელმძღვანელობის ეფექტიან ფორმებსა და მეთოდებს. ისინი ზოგჯერ სამეურნეო და სახელმწიფო ორგანოების მაგივრობას ეწევიან. ზოგიერთ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში არ არის შექმნილი მომკითხველობისა და დიდი მომთხოვნელობის, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ატმოსფერო, ჯეროვნად არ იგრძნობა კომუნისტების პირადი მაგალითის ძალა, მათი პასუხისმგებლობა საქმის ვითარებისათვის.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში ხშირად არ ვლინდება საჭირო დამოუკიდებლობა, ინიციატივა და პასუხისმგებლობა დაკისრებული ფუნქციების შესრულებაში, მინიჭებული უფლებებისა და უფლებამოსილების გამოყენებაში.

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობა ადგენს:

1. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობა პარტიის პოლიტიკური გეზის განხორციელებისათვის დამაკმაყოფილებლად იქნეს მიჩნეული.

2. მეთორმეტე ხუთწლედში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მთავარ ამოცანად ჩაითვალოს კომუნისტური პარტიის იმ კურსის თანამიმდევრული და განუხრელი განხორციელება, რომლის მიზანია ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება საზოგადოებრივი წარმოების დაჩქარებული და დინამიკური განვითარებისა და მისი ეფექტიანობის გადიდების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, არსებული რესურსების ეკონომიის უმკაცრესი რეჟიმის დაცვის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში საგეგმო დავალებათა შესრულების უზრუნველყოფის საფუძველზე.

დასახული ამოცანის წარმატებით რეალიზაციისათვის:

— შრომითი კოლექტივების მეცადინეობა მოვახმაროთ წარმოების ინტენსიფიკაციის დაჩქარებას, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ მოქმედ საწარმოებში პროდუქციის მოცულობის მატების მიღწევას დამატებითი შრომითი რესურსების გამოუყენებლად; გავაძლიეროთ საწარმოებისა და სამეცნიერო დაწესებულებების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა ახალი ტექნიკის, რესურსდამზოგავი და ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების შექმნისა და დანერგვისათვის, საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლებისათვის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა გათვალისწინებით;

— უზრუნველვყოთ მატერიალური რესურსების გამოყენების მაქსიმალური ეფექტიანობა, ყოველი საწარმოს, სამინისტროსა და უწყების მიხედვით შევიმუშაოთ ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ენერგიის დაზოგვის ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა განხორციელებას მკაცრი პარტიული კონტროლი უნდა დავუწესოთ; გავამკაცროთ მომთხოვნელობა უყაირათობისათვის, მფლანგველობისათვის, პროდუქციის, მატერიალური და ენერგეტიკული რესურსების დანაკარგებისათვის;

— კომპლექსური, კოორდინირებული ხასიათი მივანიჭოთ სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციაში ადამიანის ფაქტორის გააქტიურებისათვის გამიზნული ორგანიზაციული, ეკონომიკური, აღმზრდელობითი ღონისძიებების განხორციელებას. ეს მუშაობა ვაწარმოოთ მეცნიერულ საფუძველზე, ამასთან ჩავაბათ ამ საქმეში მეცნიერ-საზოგადოებათმცოდნეები;

— რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, მეცნიერებათა აკადემიამ, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, დარგობრივმა სამეცნიერო-კვლევითმა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა, საკავშირო დაქვემდებარების გაერთიანებებმა და საწარმოებმა მეცადინეობა მოახმარონ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გეგმების, სამეცნიერო პროგრამების შემდგომ სრულყოფას, ამასთან გაითვალისწინონ, რომ დაჩქარებულად და ფართოდ დანერგონ პრინციპულად ახალი ტექნოლოგიური პროცესები, ბოლო თაობის ტექნიკა, პერსპექტიული მეცნიერული ნამუშევრების შედეგები; განახორციელონ ღონისძიებანი, რათა აღმოფხვრან წარმოების ვიწრო ადგილები, მოახდინონ მისი ავტომატიზაცია, რობოტიზაცია, ხელის შრომის კომპლექსური მექანიზაცია, ამასთან განუხრელად იხელმძღვანელონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებისადმი მიძღვნილი საკავშირო თათბირის მითითებებით;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გაითვალისწინოს საჭირო ცვლილებები რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სტრუქტურაში, ამასთან მხედველობაში იქონიოს მისი შემდგომი ინდუსტრიალიზაცია, მუდმივი მუშაობა გასწიოს ეკონომიკის მართვის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის, მთლიანად სამეურნეო მექანიზმის გაუმჯობესებისათვის, თანაც განსაკუთრებული ყურადღება მიაპყროს საწარმოთა დამოუკიდებლობის გაფართოების, შრომითი კოლექტივების პასუხისმგებლობის გაძლიერებისა და მუშაობის საბოლოო შედეგებით მათი დაინტერესების გადიდების საჭიროებას.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ:

— რესპუბლიკაში ერთიანი ინვესტიციური პოლიტიკის განხორციელება, კაპიტალდაბანდებათა სტრუქტურის სრულყოფა და ეფექტიანობის გადიდება, ამასთან მიაღწიონ, რომ ისინი, უწინარეს ყოვლისა, ხმარდებოდეს მოქმედი წარმოებებისა და საწარმოების რეკონსტრუქციას და ტექნიკურ განახლებას, ძირითადი ფონდების განახლებას;

— საწარმოო ძალების რაციონალური განლაგება იმ აუცილებლობის გათვალისწინებით, რომ შეთანასწორდეს რესპუბლიკის ცალკეული რეგიონების სამეურნეო განვითარება და მნიშვნელოვნად გაიზარდოს სამხრეთი, მთისა და მთისწინა რაიონების ეკონომიკა.

4. პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა ყოველმხრივ გააძლიერონ მუშაობა, რათა კიდევ უფრო სრულყონ რესპუბლიკაში მიმდინარე ეკონომიკური ექსპერიმენტები, რომლებიც ითვალისწინებენ დაგეგმვისა და მართვის დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპების შეხამებას იმ მიზნით, რომ უფრო ეფექტიანად გამოიყენონ თითოეული შრომითი კოლექტივის შინაგანი რესურსები და შესაძლებლობანი, აღმოფხვრან კუთხურობისა და უწყებრიობის გამოვლინებანი.

5. პარტიულმა კომიტეტებმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა განახორციელონ რადიკალური ღონისძიებანი, რათა გააუმჯობესონ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში პროდუქციის ხარისხი, ამასთან უპირველესი ყურადღება მიაპყრონ იმას, რომ უკვე 1986 წელს გადაჭარბებით უნდა შესრულდეს უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის წარმოების გადიდების, მასალების, მანქანების, მოწყობილობების, მოსახლეობის მასობრივი მოთხოვნის საქონლის ახალ სახეობათა ათვისებისა და მათი თვისებრივი მახასიათებლების გაუმჯობესების საგეგმო დავალებანი.

გააძლიერონ ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების პერსონალური პასუხისმგებლობა დიდნაყოფიერი შრომის პირობების შექმნისათვის, სოციალისტურ შეჯიბრებას უფრო მეტად დაუსახონ მიზნად თითოეული მშრომელის, თითოეული შრომითი კოლექტივის მიერ მუშაობის მაღალი ხარისხის მიღწევა.

6. პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ძირითადი მეცადინეობა მოახმარონ მეურნეობრიობის ყოველ უბანზე დისციპლინის, წესრიგისა და ორგანიზებულობის დონის შემდგომ ამაღლებას, ამასთან მიიჩნიონ ეს მუშაობის ეფექტიანობის გადიდების, საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევის უმნიშვნელოვანეს რეზერვად. ნიადაგ და გადაჭრით ებრძოლონ შემცირების მიზნით საგეგმო დავალებათა კორექტირების ცდებს, ურიტმო მუშაობას, იერიშობანას, გაცდენებს, მოცდენებს, კადრების დენადობას, დადგენილი ტექნოლოგიური პროცესებისაგან გადახრებს, უყაირათობას, საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ყოველგვარ გამოვლინებას. განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას, მათი დარღვევის ყოველი ფაქტი აქციონ მკაცრი მსჯელობის, შესაბამისი პრინციპული შეფასების საგნად.

პარტიულმა კომიტეტებმა დისციპლინისა და ხარისხის უპირველესი პრობლემების გადაჭრისას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიანიჭონ სამეურნეო კადრების შერჩევასა და განაწილებას, მათ უნარს — სათანადო წესრიგი დაამყარონ მინდობილ უბანზე, უზრუნველყონ თავისი კოლექტივის ზუსტი და ეფექტიანი საქმიანობა. ამ მიზნით მიაღწიონ კადრების ფსიქოლოგიურ გარდაქმნას, მათი მუშაობის სტილის სრულყოფას პარტიის ახლანდელი მოთხოვნების შესაბამისად, აზროვნების ინერციისა და ძველებურად მოქმედების ჩვევების დაძლევას; გულმოდგინედ, მაქსიმალური მომთხოვნელობითა და მომკითხველობით ჩამოაყალიბონ ყველა რანგის თანამედროვე სამეურნეო ხელმძღვანელები.

7. ენერგეტიკის დარგის პარტიულმა ორგანიზაციებმა და ხელმძღვანელებმა განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ მოწონებული პროგრამის შესაბამისად რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკული ბაზის განმტკიცების მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საბაზისო სიმძლავრეთა განვითარებას, უწინარეს ყოვლისა, თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის გაფართოების გზით. ამავე დროს დაიწყონ საქართველოს ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა, აგრეთვე უზრუნველყონ ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის პირველი ჰიდროაგრეგატების საექსპლოატაციოდ გადაცემა დადგენილ ვადებში. გააქტიურონ ენერგიის ახალი წყაროების ძიება.

8. პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, სამეურნეო ხელმძღვანელებმა მიაღწიონ, რომ ძირეულად გაუმჯობესდეს საქმის ვითარება კაპიტალურ მშენებლობაში, უთუოდ შესრულდეს საწარმოო სიმძლავრეების, ბინების, სკოლების, საავადმყოფოების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და კომუნალური მეურნეობის ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის საგეგმო დავალებანი, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ მშენებლობის ხარისხს. უზრუნველყონ საწარმოო დანიშნულების ასამოქმედებელ მშენებლობებზე კაპიტალდაბანდებათა ლიმიტების კონცენტრაცია; დააჩქარონ მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის ტემპი; გააფართოონ ახალი პროგრესული მასალებისა და კონსტრუქციების წარმოება და გამოყენება.

1986 წლიდან დაიწყონ მოძველებული საბინაო ფონდის ლიკვიდაცია; განახორციელონ ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების წყალმომარაგებისა და კანალიზაციის გაუმჯობესების პროგრამა რესპუბლიკის „წყალსადენი და საკანალიზაციო მეურნეობის განვითარების 2000 წლამდე პერიოდის გენერალური სქემების თანახმად.

9. სოფლის მეურნეობის დარგში პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მთავარ ამოცანად დასახულია რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის მაპროფილებელი დარგების შეწონასწორებული განვითარება მიწათმოქმედების კულტურის მკვეთრი ამაღლების, მელიორაციის ხანგრძლივი პროგრამის რეალიზაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა პროცესის ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის საფუძველზე.

უზრუნველყონ სასურსათო პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ამოცანის გადაწყვეტა ინტენსიფიკაციის, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოებრივი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის, შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესების გზით.

მუდმივი ყურადღება დაუთმონ მეცხოველეობის განვითარებას, საკვები ბაზის განმტკიცებას, მეცხოველეთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, ამ დარგში მოწინავე ტექნოლოგიებისა და შრომის ორგანიზაციის მეთოდების დანერგვას.

განსაკუთრებული კონტროლი დაუწესონ სოფლის მეურნეობის პროდუქციის შენახვისა და გადამუშავების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტისა და ექსპლოატაციის, ახალ საწარმოთა მშენებლობის, არსებულთა რეკონსტრუქციისა და განახლების, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სარემონტო-ტექნიკური ბაზის შექმნის, მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგებში მექანიზაციის დონის ამაღლების საკითხებს.

10. პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, სახსპეცტრანსმა, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველომ, საქართველოს საზღვაო სანაოსნომ უნდა მიაღწიონ ყველა სახეობის ტრანსპორტის შეწონასწორებულ განვითარებას, სატრანსპორტო ტვირთზიდვაზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას; გაზარდონ სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენების ეფექტიანობა, შრომის ნაყოფიერება შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ტვირთზიდვის მართვის ავტომატიზებული სისტემების დანერგვის გზით; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებას და მგზავრთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ უზრუნველყონ კავშირგაბმულობის საშუალებათა შემდგომი განვითარება, დაძლიონ ამ დარგში რესპუბლიკურ და საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს შორის არსებული განსხვავება, მიაღწიონ კავშირგაბმულობის მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის ძირეულ გაუმჯობესებას.

11. სამინისტროებმა და უწყებებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე აიყვანონ საგეგმო-საფინანსო და სააღრიცხვო-სტატისტიკური სამსახურების მუშაობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეიმუშაოს და განახორციელოს რესპუბლიკაში ყველა ფინანსური პროცესის სრულყოფის, მათი უფრო ეფექტიანი მართვის, საფინანსო დისციპლინის განმტკიცების, საწარმოთა და ორგანიზაციათა ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების ღონისძიებანი; მეთორმეტე ხუთწლედში უზრუნველყოს რესპუბლიკის ვაჭრობაში, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებასა და საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში მართვის დახვეწილი და დაზუსტებული გენერალური სქემების დანერგვა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სამინისტროებმა და უწყებებმა მეთორმეტე ხუთწლედში დაამთავრონ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე სრული სამეურნეო ანგარიშის დანერგვა, რათა სამეურნეო ანგარიშის მეთოდით იმუშაონ ყველა საწარმომ, აგრეთვე სამმართველო რგოლმა, მათ შორის სამინისტროებისა და უწყებების აპარატებმა.

12. პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა:

— მუდმივი კონტროლი გაუწიონ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების პროგრამის რეალიზაციის მიმდინარეობას. შეიმუშაონ და განახორციელონ მომსახურების სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებანი. მიაღწიონ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების უპირატეს ზრდასა და მოსახლეობის მომსახურების დარგების განვითარებას მისი ფულადი შემოსავლის გადიდებასთან შედარებით;

— უზრუნველყონ სამედიცინო მომსახურების დონისა და ხარისხის სისტემატური ამაღლება, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელის შემდგომი გაფართოება, თანამედროვე დიაგნოსტიკური და სამკურნალო-სამედიცინო ტექნიკითა და მოწყობილობით მათი აღჭურვის გაუმჯობესება; გააძლიერონ მუშაობა დაავადებათა თავიდან აცილებისათვის, მიაღწიონ, რომ მიმდინარე ხუთწლედში დისპანსერიზაციამ მოიცვას რესპუბლიკის მთელი მოსახლეობა;

— მეტი ყურადღება დაუთმონ მშრომელთა სანატორიულ-საკურორტო მომსახურებას, განახორციელონ საბავშვო კურორტებისა და ბავშვთა დასვენების ზონების განვითარების ღონისძიებათა კომპლექსი; ნიადაგ სრულყონ სოციალური უზრუნველყოფის სისტემის საქმიანობა;

— უკომპრომისოდ ებრძოლონ მომსახურების სფეროში ყოველგვარ დარღვევასა და ბოროტმოქმედებას, ადამიანებისადმი უყურადღებო დამოკიდებულებას.

13. პარტიულმა კომიტეტებმა, რესპუბლიკის განათლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროებმა, პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა გააძლიერონ ყურადღება ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა მოთხოვნების შესრულებისადმი, გააუმჯობესონ სწავლებისა და აღზრდის ხარისხი, უზრუნველყონ, რომ თითოეული მოსწავლე რეალურად ეზიაროს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას; მიაღწიონ ყოველი შრომითი კოლექტივის აქტიურ მონაწილეობას სკოლის რეფორმის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელებაში, სამრეწველო საწარმოთა როლის გაძლიერებას სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში; უზრუნველყონ, რომ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტთა მომზადებისა და გამოყენების დაგეგმვა სრულად შეესაბამებოდეს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებს, ხოლო მათი იდეურ-პოლიტიკური დონე და კვალიფიკაცია — კომუნისტური მშენებლობის ამოცანებისა და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქის მოთხოვნებს; გაზარდონ უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერთა როლი სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში; პრინციპულად ებრძოლონ პროტექციონიზმის, ლიბერალიზმის,

(დასასრული მე-8 გვ.)

# საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის დადგენილება

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო

(დასასრული)

უკანონო კერძო რეპეტიტორობის, სამართალდარღვევების ფაქტებს და სკოლის ცხოვრებაში არსებულ სხვა ნეგატიურ მოვლენებს. [illegible]

14. პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური, მასობრივი და პოლიტიკური მუშაობის მთავარ ამოცანად [illegible]

[illegible]

[illegible] ოტიპების წინაშე ქედმოხრის ყოველგვარი ცდა; დასაბუთებულად და თანამიმდევრულად გამოააშკარაონ ბურჟუაზიული პროპაგანდის სიცრუე და ფალსიფიკაციები, აწარმოონ შეტევითი კონტრპროპაგანდა.

განახორციელონ ისეთი ინტერნაციონალისტური აღზრდის ქმედითი ფორმებისა და მეთოდების მიზანმიმართული ძიება და დანერგვა, რომელიც გაითვალისწინებს ყოველი ერისა და ეროვნების სპეციფიკურ, ისტორიულად ჩამოყალიბებულ სულიერ ინტერესებს და ამავე დროს ხელს შეუწყობს მათ დაახლოებას მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ერთიანობის, სოციალისტური საერთო ცხოვრების პრინციპების საფუძველზე.

უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნიონ ფიზიკურ კულტურაში, სპორტსა და ტურიზმში რესპუბლიკის მოსახლეობის უფართოესი ფენების რეგულარული მონაწილეობის ხელშემწყობი პირობების შექმნა; განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ ბავშვების და ახალგაზრდების ფიზიკური მომზადების გაუმჯობესებას, მათში იმ თვისებების ჩამოყალიბებას, რომლებიც საჭიროა სამხედრო სამსახურისა და შემდგომი შრომითი საქმიანობისათვის.

ახალი იმპულსი და ფართო გაქანება მიანიჭონ უკომპრომისო შეტევას საბჭოთა სინამდვილისათვის ისეთ უცხო გამოვლინებებზე, როგორიც არის: სოციალისტური საკუთრების დატაცება, პროტექციონიზმი, საქმოსნობა, მუქთახორობა, ბიუროკრატიზმი, კარიერიზმი, კერძომესაკუთრული ტენდენციები, მავნე ტრადიციები და წეს-ჩვეულებები, და გადაჭრით გაწმინდონ ადამიანთა შეგნება წარსულის გადმონაშთებისაგან; განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ საზოგადოების ცხოვრების ასეთი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში ხელმძღვანელ მუშაკთა პირადი პასუხისმგებლობისა და როლის გაძლიერებას.

15. პარტიულმა კომიტეტებმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და კონტროლი სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობისადმი; მთავარი ყურადღება მიაპყრონ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საყოველთაო გაძლიერების ამოცანას; აამაღლონ საქვეუწყებო ტერიტორიაზე ჯეროვანი წესრიგის დამყარებისათვის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუშაობის დონე, უფრო ფართოდ გაშალონ მუშაობა უშრომელი შემოსავლით მცხოვრებ პირთა გამოსავლენად; სრულყონ გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობა, რათა ალკვეთონ ნარკომანიის, სხვა არაჯანსაღი გამოვლინებების გავრცელება, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის.

განახორციელონ სამართალდაცვითი ორგანოების კოლექტივებში კლიმატის გაჯანსაღების, არაკეთილსინდისიერი, სახელგატეხილი თანამშრომლებისაგან მათი გაწმენდის, შემოწმებული კადრებით — კომუნისტებით, კომკავშირელებით, წარმოების მოწინავეებით მათი განმტკიცების ღონისძიებანი.

განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ სადირექტივო ორგანოების დადგენილებებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის განუხრელი განხორციელების, ყველგან ფხიზელი ყოფა-ცხოვრების დამკვიდრების, ამ საქმეში მთელი საზოგადოებრიობის გააქტიურების აუცილებლობას.

16. პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რათა კიდევ უფრო გაძლიერდეს პრესის, ტელევიზიის როლი რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, წარმოების ინტენსიფიკაციის, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის, მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების, ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცების, მართვის მექანიზმის სრულყოფის, მუშაობის სტილის, ადამიანთა იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდის ძირეული გაუმჯობესების საქმეში. განახორციელონ მათი მუშაობის კოორდინაციის სრულყოფის, მათი გამოსვლების ქმედითობის გადიდების კონკრეტული ღონისძიებანი, და ამით მიაღწიონ, რომ მასობრივი ინფორმაციის ორგანოები იყვნენ ნამდვილი კოლექტიური აგიტატორები, პროპაგანდისტები და მასების ორგანიზატორები.

17. რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა შემოქმედ ინტელიგენციასთან მუშაობაში დაამკვიდრონ მიზანმიმართული და დაკვირვებული მიდგომა, გააძლიერონ ზრუნვა მისი იდეური წრთობისათვის, გააუმჯობესონ შემოქმედებითი კავშირებისა და კულტურის დაწესებულებების ორგანიზატორული საქმიანობა.

18. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა შეძენილი გამოცდილებისა და ნაკლოვანებათა კრიტიკული ანალიზის საფუძველზე წარმართონ მუშაობა პარტიული ხელმძღვანელობის ნამდვილად ლენინური სტილის ყველგან დამკვიდრებისათვის. მიაღწიონ მიღებულ გადაწყვეტილებათა ცხოვრებასთან დაახლოებას, მათს კონკრეტულობას, რეალურობასა და განუხრელ განხორციელებას, სიტყვისა და საქმის სრულ ერთიანობას. გააძლიერონ ყოველი კომუნისტისა და, უწინარეს ყოვლისა, ხელმძღვანელებისადმი პერსონალური მომთხოვნელობა ლაყბობის, დემაგოგიის, ზოგადი ფრაზებითა და მოწოდებებით საქმის შეცვლის, გაუმართლებელი ფორმათმთხზველობისა და ქაღალდმთხზველობის, ზედმეტი სხდომებისა და თათბირებისათვის, ყოველმხრივ მიაღწიონ თავიდან ბოლომდე პარტიის სხვადასხვა რგოლის კავშირის განმტკიცებას, ძირითადი აქცენტი გადაიტანონ ადამიანებთან ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობაზე.

უზრუნველყონ პარტიის პოლიტიკის თანამიმდევრული განხორციელება კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის დარგში; მკაცრად და განუხრელად დაიცვან პოლიტიკური და საქმიანი თვისებების მიხედვით მუშაკთა შერჩევის ლენინური პრინციპები, კოლეგიურობა საკადრო საკითხთა გადაწყვეტაში, გაითვალისწინონ პარტიული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების აზრი; კადრებთან მუშაობა ააგონ იმ საფუძველზე, რომ ერთმანეთს შეუხამონ მათდამი ნდობა და პატივისცემა და დაკისრებული საქმისათვის დიდი მომთხოვნელობა. გადამჭრელი ღონისძიებანი განახორციელონ იმათ მიმართ, ვინც არღვევს დისციპლინას, დასკვნები არ გამოაქვს კრიტიკიდან, არასწორად იქცევა.

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ხელმძღვანელი რგოლის კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას, ამასთან ძირითადი ყურადღება მიაპყრონ ხელმძღვანელთა მომზადებას ახლებურად მუშაობისათვის იმ ღონისძიებათა შესაბამისად, რომლებსაც პარტია და მთავრობა ახორციელებენ სახალხო მეურნეობის დარგებისა და, კერძოდ, აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სრულყოფისათვის. გააძლიერონ ამ საქმეში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის, კადრების გადამზადებით დასაქმებული სხვა ორგანიზაციების როლი და ინიციატივა.

მტკიცედ განახორციელონ პარტიული რიგების შემდგომი განმტკიცების კურსი, უზრუნველყონ პარტიული ორგანიზაციების ზრდა და თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესება მოწინავე, ყველაზე შეგნებული მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის წარმომადგენლების მკაცრი ინდივიდუალური შერჩევის გზით.

ყოველმხრივ გააფართოონ და გააღრმაონ საქმიანი, კონსტრუქციული კრიტიკა და თვითკრიტიკა — ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და საქმის გაუმჯობესების ნაცადი მეთოდი; გადაჭრით აღკვეთონ კრიტიკის ჩახშობის, კომუნისტების, მშრომელების შენიშვნებისა და საქმიანი წინადადებებისადმი უყურადღებო, უსულგულო დამოკიდებულების ფაქტები.

გააუმჯობესონ შინაპარტიული ინფორმაცია, უფრო სრულად გამოიყენონ იგი, როგორც ხელმძღვანელობის დიდმნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, აღზრდისა და კონტროლის საშუალება; ნიადაგ შეისწავლონ ინფორმაციის ეფექტიანობის, საზოგადოებრივ აზრზე მისი გავლენის დონე; გააფართოონ ქვემოდან ინფორმაციის მიღების არხები, მიაღწიონ, რომ იგი სრულფასოვნად ასახავდეს ადგილებზე საქმის ვითარებას, ადამიანთა შეხედულებებსა და განწყობილებას, დანერგონ ხელმძღვანელ მუშაკთა რეგულარული შეხვედრები შრომით კოლექტივებთან და ადამიანთა საცხოვრებელ ადგილას.

აამაღლონ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დონე, ამასთან მიაღწიონ, რომ ყოველი კომუნისტი უმკაცრესად ასრულებდეს საწესდებო მოვალეობებს, დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდეს კოლექტივში საქმის ვითარებას; მკაცრად მოჰკითხონ იმათ, ვინც თავისი საქციელით არცხვენს პარტიის წევრის საპატიო წოდებას, არღვევს დისციპლინას; სრულყონ ამ მიმართულებით პარტკომისიების მუშაობის სტილი და მეთოდები, მიაღწიონ, რომ ისინი ნამდვილად გახდნენ პარტიული კომიტეტების აქტიური თანაშემწენი.

განახორციელონ პირველადი პარტიული ორგანიზაციების შემდგომი ორგანიზაციულ-პოლიტიკური განმტკიცების, მათი მებრძოლურობის გადიდების, შრომითი კოლექტივების ცხოვრებასა და საქმეებზე გავლენის, პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებანი.

გადაჭრით აღკვეთონ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფუნქციების აღრევის ყოველგვარი ცდა, ქვემდგომი რგოლების საქმიანობის ზედმეტი რეგლამენტაცია.

ნიადაგ გაზარდონ სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლი, ამასთან მიაღწიონ, რომ ისინი სრულად იყენებდნენ თავიანთ უფლებებს, უფლებამოსილებასა და შესაძლებლობებს, შეისწავლონ და გაავრცელონ მათი ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის დადებითი გამოცდილება.

აამაღლონ სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის დონე, გახადონ ისინი პარტიული და სახელმწიფო ორგანოების უფრო აქტიური თანაშემწენი წარმოების ეფექტიანობის გადიდებისათვის, დისციპლინის განმტკიცებისათვის, პარტიისა და მთავრობის დირექტივების განუხრელი შესრულებისათვის ბრძოლაში.

პროფკავშირების მუშაობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭონ წარმოების მართვაში მუშა-მოსამსახურეთა ჩაბმას, სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას, საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას, მშრომელთა აღზრდას საზოგადოებრივი საკუთრებისადმი მზრუნველი, ყაირათიანი დამოკიდებულების სულისკვეთებით; გაზარდონ პროფკავშირების მიერ მშრომელთა ინტერესების დაცვის, მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებისათვის ზრუნვის ფუნქციების განხორციელების ეფექტიანობა.

გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, უზრუნველყონ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ამოცანათა გადაწყვეტაში ახალგაზრდობის უფრო აქტიური მონაწილეობა, გააძლიერონ კომკავშირის როლი ახალგაზრდა თაობის კომუნისტურ აღზრდაში, მისი მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობისა და ღრმა იდეური მრწამსის ჩამოყალიბებაში; მტკიცედ ჩაუნერგონ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს მაღალი ზნეობრივი თვისებები, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, კოლექტივიზმისა და ამხანაგობის გრძნობა; ყველა პირობა შექმნან იმისათვის, რომ ახალგაზრდობას შეეძლოს სრულად გამოავლინოს თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობანი და ორგანიზატორული უნარი.

• • •

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს აღუთქვამს, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია კვლავაც მაღლა ატარებს მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისშემძლე დროშას, უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყველა წინასწარდასახულობის განუხრელ შესრულებას, ღირსეულად შეხვდება ლენინური პარტიის XXVII ყრილობას.

---

## მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობებზე

**მინსკი.** პარტიის მიერ წამოყენებულ ამოცანათა სიახლე და მასშტაბურობა, ხაზი გაუსვეს ბელორუსიის კომპარტიის XXX ყრილობის დელეგატებმა, მოითხოვს გაბედული და ამავე დროს მეცნიერულად დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებას, ენერგიულ მოქმედებას, რომელიც უზრუნველყოფს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის დაჩქარებას, მისი წვლილის გადიდებას ქვეყნის სახალხო-სამეურნეო კომპლექსში.

**ტაშკენტი.** თვითკრიტიკულად აფასებენ რა საქმის ვითარებას, პარტიის საპროგრამო დოკუმენტების საფუძველზე, უზბეკეთის კომპარტიის XXI ყრილობის დელეგატები სახავენ რესპუბლიკაში პარტიულ-პოლიტიკური საქმიანობის, მთელი მუშაობის სრულყოფის ღონისძიებებს. ყრილობაზე დაიწყო ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა პროექტის შესახებ მოხსენების განხილვა, რომელიც გააკეთა უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. ხ. კადიროვმა.

**ბაქო.** მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყოველმხრივი დაჩქარების, ეკონომიკის მართვის ძირფესვიანი გარდაქმნის გზები და ამ პრობლემათა გადაჭრაში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების, ყველა მშრომელის ამოცანებია აზერბაიჯანის კომპარტიის XXXI ყრილობის დელეგატთა ყურადღების ცენტრში.

საანგარიშო მოხსენება გააკეთა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა კ. მ. ბაგიროვმა.

ამ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობებმა 1 თებერვალს მუშაობა დაამთავრეს. დელეგატებმა მომკითხველად, თვითკრიტიკულად შეაფასეს საქმიანობის შედეგები და დასახეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ყველა უბანზე კომუნისტთა პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის სრულყოფის მწყობრი პროგრამა.

ყრილობებმა აირჩიეს კომპარტიათა ხელმძღვანელი ორგანოები და სკკპ XXVII ყრილობის დელეგატები.

---

## საქმის დამგვირგვინებელი

**ძალზე** ღირსსახსოვარი გამოდგა ზოია გირგვლიანისათვის მეთერთმეტე ხუთწლედის დამამთავრებელი წელიწადი. იგი მესტიის რაიონული პარტკონფერენციის დელეგატად აირჩიეს. კონფერენციას პირველი პლენუმიც მოჰყვა, და ახალგაზრდა კომუნისტი ახლა პარტიის მესტიის რაიკომის ბიუროს შემადგენლობაში შეიყვანეს.

როგორ მოასწრო, რით დაიმსახურა ასეთი პატივი ოცდახუთი წლის ერთმა ჩვეულებრივმა სვანმა გოგონამ?

ზოიას ბავშვობიდანვე უყვარდა შრომა, ფუსფუსი, საქონლის მოვლა-პატრონობა. ამიტომ, როცა ოჯახში განაცხადა, მეურნეობაში მწველავად წასვლა მწადიაო, არავის არც გაჰკვირვებია, არც დაუშლია, პირიქით, ხელი მოუმართეს.

— ოღონდ ყოჩაღად მოიქეცი, არ შეგვარცხვინო! — გააფრთხილეს.

ეს სიტყვები ყასიდად არ თქმულა, ვინაიდან სვანეთში მწველავობა ბევრ სიძნელეებთან არის დაკავშირებული და ყველა მსურველი ბოლომდე ვერ შერჩება ხოლმე ამ პროფესიას. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, აქ ჯერჯერობით ისევ ხელით წველაა ძალაში. ხუმრობაა ყოველდღე, დილა-საღამოს, 15-20 ფურის ჩამოწველა?!

ეს კიდევ არაფერი: როგორც კი მიიწურება მაისი, ფერმა სოფლიდან აიყრება ხოლმე და უფრო ზევით, ალპურ საძოვრებზე მიბარგდება. ფეხით მიდიან, ვინაიდან ისეთი ვიწრო გზებია, მანქანა კი არა, მამაპაპური მარხილიც კი ვერ გაივლის. ხოლო, როცა გრძელ გზას გალევენ და უშუალოდ საიალაღო მთას მიადგებიან, ხალხიცა და საქონელიც წალიკდება და ბაწარაღებით შეუდგებიან ხოლმე დაკლაკნილ წავარნას. მორჩა, მწველავებიც და მწყემსებიც 3-4 თვით მოწყვეტილნი არიან ოჯახს, ნაცნობ-ნათესავს, სოფელს. იალაღებზე მწველავებს შრომა უორკეცდებათ, რადგან, რაკი „ბარში" რძის ჩატანა შეუძლებელია, სულგუნს ამზადებენ. მერე ამ სულგუნს მეურნეობის კაცები რის ვაინაჩრობით ჩაზიდავენ ხოლმე ცხენებით მესტიაში. ძნელია, ძალიან ძნელი, მაგრამ რას იზამ — ყველა მთის კალთებსა და ხეობებში ვერ გაიყვან სამანქანო გზას!

ზოია ადვილად მოერია მთიელი მწველავის მძიმე პროფესიასთან დაკავშირებულ ყველა სიძნელეს და მარტო ლატალში კი არა, მთელ რაიონში გაითქვა სახელი. მალე ისე იშრომა, იმდენს მიაღწია, რომ მეურნეობაში მისვლიდან ორი წლის შემდეგ, 1981 წელს, პარტიაშიც მიიღეს. მისთვის განსაკუთრებით ხავრიელი გამოდგა შარშანდელი წელიწადი. ჩაება რა სკკპ XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ რაიონულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რძის წარმოების წლიური გეგმა — 15.000 კილოგრამი — 7 ნოემბრისათვის შეასრულა, თანაც 1700 კილოგრამის გადაჭარბებით.

კონფერენციის შემდეგ ლატალის საბჭოთა მეურნეობის ფერმაში ჩავედი, რათა პირადად გავსაუბრებოდი მოწინავე მწველავს.

ზოიამ როცა შეიტყო, მასზე წერილის დაწერას ვაპირებდი, შემეხვეწა:

— ძალიან გთხოვთ, მარტო ჩემზე ნუ იქნება ლაპარაკი — როგორმე მთელი ჩვენი კოლექტივი გამოაჩინეთ, ვინაიდან მე, როგორც მწველავი, ვერ მივაღწევდი ასეთ წარმატებას, ყველა თავის საქმეს პირნათლად რომ არ ასრულებდეს. არ იფიქროთ, ამას ყალბი თავმდაბლობა მალაპარაკებდეს, არა! აი, გიამბობთ ჩვენს შეხმატკბილებულ კოლექტივზე და თქვენთვის ნათელი გახდება, თუ რანაირად მოდის წარმატება!

ზოიამ დინჯად, შეულამაზებლად, გაუზვიადებლად დაიწყო ლაპარაკი თანამოსაქმეებზე.

მეურნეობის დირექტორი ვლადიმერ კვანჭიანი ნიჭიერი ორგანიზატორი და გამოცდილი მეურნეა. წლების მანძილზე მუშაობდა ზუგდიდის რაიონში კოლმეურნეობის თავმჯდომარედ და სხვადასხვა სკოლის დირექტორად. 1980 წელს, როცა ცალკე გამოიყო მეურნეობა, ხალხმა ისურვა, რომ ლატალელებს სწორედ კვანჭიანი ჩასდგომოდა სათავეში. მისი ხელმძღვანელობით ახალშექმნილმა მეურნეობამ ისეთ წარმატებებს მიაღწია, რომ 1982 წელს რაიონში პირველ ადგილზე გამოვიდა და პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა დაისაკუთრა. ვ. კვანჭიანის წყალობით მთელ ზემო სვანეთში ლატალი გახდა მრავალწლიანი კულტურული საკვები ბალახების თესვის პიონერი.

ბრიგადირმა შალვა გირგვლიანმა ხუთი თითივით იცის ფერმის ავ-კარგი, მწყემსებისა და მწველავების ავანჩავანი. იგი მუდამ იმის ცდაშია, კოლექტივში ერთსულოვნება და შემართება სუფევდეს. ოქროს ფასი ადევს დამრიგებელ კატო გირგვლიანის რჩევა-დარიგებას: სხვანაირად არც შეიძლება — ოცდახუთი წელიწადია, მწველავად მუშაობს. შარშანწინ პენსიაშიც გავიდა, მაგრამ ფერმასა და ახალგაზრდობას მაინც ვერ ელევა. მას მხარს უმშვენებს ფაფალა ჩამგელანი, რომელიც 30 წელიწადია, ვეტერინარად მუშაობს და, ვინ მოთვლის, რამდენჯერ იხსნა ფერმა ინფექციური დაავადებებისაგან. ლამარა ფირცხელანი ზოიას ტოლს არ უდებს შრომაში — ისიც მთელ რაიონში ცნობილი მწველავია. ასევე კარგი მაჩვენებლები აქვთ თინა კვანჭიანს, ლამზირა გირგვლიანს, ნონა გურგულიანს, რომლებიც ორიოდე წლის წინათ მოვიდნენ ფერმაში სიმწიფის ატესტატით და დიდი საქმეები ჯერ წინ ელოდებათ.

მთელი კოლექტივის ბეჯითი შრომის შედეგია, რომ მეურნეობამ შარშან გადაჭარბებით შეასრულა ხორცისა და რძის წარმოების, ნამატის მიღების გეგმები. ასევე გეგმის დიდი გადაჭარბებით დამზადდა უხეში საკვები...

— აი, რამდენი გამრჯე და მოწინავე ხალხი გვყავს! — დაასრულა ზოიამ თხრობა და მორიდებით შენიშნა, — და თუ მაინცდამაინც ჩემი შედეგები გამოჩნდა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მთელი კოლექტივის მიერ წამოწყებული საქმე რაღაცნაირად საბოლოოდ მწველავის ხელში გვირგვინდება და ჩანს... ჩვენ, მწველავები, საქმის დამგვირგვინებლები ვართ.

ჯ. მეხრიშვილი.

---

### პარტიული ცხოვრება: 80-იანი წლების კომუნისტები

---



## მეცნიერება—წარმოებას



**საქართველოს** სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკური გამოკვლევების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს საინფორმაციო პროცესთა ავტომატიზაციის მნიშვნელოვან საკითხებს.

**სურათებზე:** ავტომატიზებულ სისტემათა ტექნიკური მომსახურების განყოფილების ინჟინერი კარინე კვირიკაშვილი და მეცნიერებისა და ტექნიკის მართვის სისტემების ავტომატიზაციის რესპუბლიკური განყოფილების გამგე ვაჟა მაღრაძე მსჯელობენ ავტომატიზებულ სისტემათა დანერგვასთან დაკავშირებულ საკითხებზე; ავტომატიზებულ სისტემათა სამრეწველო ექსპლოატაციის განყოფილების ინჟინერი მარინე გუბანოვა ბაზის დისკის დანადგარებთან (მიმდინარეობს ხელმძღვანელობის დიფერენცირებული მომსახურების ავტომატიზებული სისტემის საცდელი ექსპლოატაცია); საინფორმაციო საბიბლიოთეკო პროცესების ავტომატიზაციის განყოფილების უფროსი ინჟინერი მანანა მანია და ამავე განყოფილების ინჟინერი ირაკლი თედიაშვილი ამზადებენ მონაცემებს ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანისათვის.

ა. სააკოვის ფოტო.



---

## ფერისცვალება

**აჭარის** მთის რაიონების რამდენიმე სოფლის მკვიდრნი წლობით გაწამებული იყვნენ უგზოობით, ზვავებითა და მეწყრებით. ძნელია, დააგდო მშობლიური ფუძე, შეჩვეული სანახები, მაგრამ, როცა ეს გარდაუვალია?..

ამ თხუთმეტი წლის წინათ ასობით ოჯახი ჩასახლდა სამხრეთ საქართველოში, გურიაში, კახეთსა თუ აჭარის დაბლობ რაიონებში. ოცდაათიოდე ოჯახმაც ასე დაადგა თვალი ყამირ ადგილს ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. იქ წინათ ბამბუკის პლანტაცია იყო, რომელსაც ეკალბარდი მოედო და გაუერანდა. არადა, მიწაც ნოყიერი აღმოჩნდა და ზღვაც ხელის გაწვდენაზე ლივლივებდა. არც ზვავის საფრთხე, არც ლანქერისა... და ჩამოსახლებულებმაც მიტოვებულ ადგილს მძლავრად დაჰკრეს ბარი, ამოძირკვეს შამბნარი, იქაურობა ხელის გულს დაამსგავსეს, მერე საკარმიდამო ნაკვეთებს ლობეც შემოავლეს და ციტრუსიც ჩაყარეს. მალე აქა-იქ სახლებიც მომრავლდა და ნერგმაც იხარა. გაჩნდა ახალი უბანი.

ახლა? — ფერისცვალება დასტყობოდა გარემოს. ნერგები ხეებად ქცეულა, და, რაც მთავარია, რკინის ჭიშკრებზე ფირნიშები მიუკრავთ — „გაგარინის ქუჩა". ასე შეემატა დაბა ჩაქვს ახალი დასახლება, ახალი ქუჩა, სკვერი და არქიტექტურული ნაგებობანი.

მ. გორგილაძე.

# უცხოეთში

ფაქტები • მოვლენები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

## დიდმნიშვნელოვანი ინიციატივა

**განიარაღება განვითარებისათვის — მოუწოდებს სსრ კავშირი მსოფლიოს ყველა ქვეყანას**

**ნიუ-იორკში** გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალურ დოკუმენტად გავრცელდა სსრ კავშირის მთავრობის მემორანდუმი „სახელმწიფოთა საერთაშორისო ეკონომიკური უშიშროება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გაჯანსაღების დიდმნიშვნელოვანი პირობაა“. მასში ხაზგასმულია, რომ თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში სულ უფრო მნიშვნელოვანი და გადაუდებელი ხდება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მოწესრიგების, სახელმწიფოთა თანასწორუ- [illegible]

[illegible] ება, კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის საშიში გეგმები გიგანტურ რესურსებს აკლებს სოციალ-ეკონომიკური განვითარების საჭიროებებს. საკმარისია ითქვას, რომ 1980 წლიდან შეიარაღებისათვის ვაშინგტონის ხარჯები 40 პროცენტით გაიზარდა, ხოლო დიდი იარაღის მაგნატების მოგება ბოლო წლებში სულ ცოტა ერთისამად გადიდდა. მაგრამ

„ზარბაზნების მეფეთა“ სიხარბეს ზღვარი არა აქვს. ამერიკის ოფიციალური მონაცემებით, მარტო „ვარსკვლავეთის ომების“ მილიტარისტული პროგრამის განხორციელება ამერიკელ გადასახადის გადამხდელებს ასტრონომიული თანხა 500 მილიარდიდან ტრილი- [illegible]

[illegible] თო ბაზრის“ წევრ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში უმუშევართა რიცხვი ბოლო ათ წელიწადში 3,6 მილიონიდან თითქმის 13,5 მილიონამდე გაიზარდა, კაპიტალისტურ სამყაროში ყოველი მეხუთე მოქალაქე სიღარიბეში ცხოვრობს, არ ყოფნის საჭმელი, უწიგნურია. ასობით მილიონი მიწურებში ცხოვრობს.

როგორც სსრ კავშირის მემორანდუმშია აღნიშნული, ბოლო წლებში არნახულად გამწვავდა განვითარებადი ქვეყნების საგარეო დავალიანების პრობლემა. მაგალითად, მარტო ლათინური ამერიკის ქვეყნებს ამერიკის მონოპოლიების 350 მილიარდზე მეტი დოლარი მართებთ. განვითარებადი ქვეყნების ხალხთა ხვედრი ისევ შიმშილი და სიღატაკეა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, წელიწადში 30 მილიონი კაცის სიცოცხლეს — თითო კაცს ყოველ წამში — იწირავს შიმშილი პლანეტის ამა თუ იმ რეგიონში. მსოფ- [illegible]

[illegible] ციზმი — განიარაღება—განვითარებისათვის. სწორედ ამას მოუწოდებს სსრ კავშირი ყველა ქვეყანას თავის მემორანდუმში, რომლის მიზანია საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის გაჯანსაღება და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარება.

(საქდესი).

უშიშროების საბჭო:

## ვაშინგტონი მხარს უჭერს ძალადობის განგრძობას

**ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჩაფუშა უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციები, რომლებიც ისრაელს გმობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე თარეშისათვის.** ვაშინგტონის წარმომადგენელი ერთადერთი აღმოჩნდა, რომელმაც ხმა მისცა მიუმხრობელი ქვეყნების ჯგუფის რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ, რომელიც გმობს ისრაელის აქციებს, მათ შორის მაჰმადიანთა წმიდათაწმიდა ადგილების წაბილწვას. სიონისტთა მოქმედება, ისევე როგორც მათი ცდები, შეცვალონ ოკუპირებული არაბული ტერიტორიების დემოგრაფიული სახე და სტატუსი, პროექტში შეფასებულია, როგორც ჟენევის შესაბამისი კონვენციის უხეში დარღვევა, სერიოზული დაბრკოლება ახლო აღმოსავლეთში ყოვლისმომცველი სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის მიღწევის გზაზე. რეზოლუციას ხმა მისცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 13-მა წევრმა.

ამერიკის შეერთებული შტატების ვეტომ აღაშფოთა საერთაშორისო გაერთიანება. როგორც განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ავღანეთის მუდმივმა წარმომადგენელმა მ. ფ. ზარიფმა, ეს ადასტურებს, რომ ვაშინგტონი მთლიანად მხარს უჭერს თავის „სტრატეგიულ მოკავშირეს“ ახლო აღმოსავლეთში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იემენის არაბთა რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლის მ. ს. ბასინდვას აზრით, ამერიკის შეერთებული შტატების აქცია მოწმობს, რომ ვაშინგტონი უარს აცხადებს მხარი დაუჭიროს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის სამართლიან გადაწყვეტას. ისრაელ ექსტრემისტთა მხარეზე გამოდიან იგივე ძალები, აღნიშნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ერაყის მუდმივმა წარმომადგენელმა ი. კიტანიმ, რომლებსაც უწოდებენ სამხრეთაფრიკელი რასისტების დამქაშის სავინდის „თავისუფლებისათვის მებრძოლებს“. „ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს რეგიონში აგრესიისა და ძალადობის განგრძობას“ — თქვა მან.

უშიშროების საბჭოს მიერ ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე ვითარების განხილვა, რომლის უშუალო საბაბიც გახდა ისრაელის მიერ მაჰმადიანთა წმიდათაწმიდა ადგილების წაბილწვა, გასცდა ამ საკითხის ფარგლებს. დისკუსიაში მონაწილე ორატორთა დიდი უმრავლესობა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ეს აქტები არ შეიძლება განვიხილოთ დაპყრობილ მიწებზე საერთო ვითარებისაგან მოწყვეტით, ოკეანის გაღმიდან მხარდაჭერით ისრაელის სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკის, დაპყრობილი მიწების სისტემატური მიერთების, პალესტინელი ხალხის ხელშეუვალი უფლების აღიარებაზე უარის თქმის, მეზობელი არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ მუდმივი შეიარაღებული აქციებისაგან მოწყვეტით. საერთაშორისო გაერთიანების წარმომადგენლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა მიიღონ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის ყოვლისმომცველი და ეფექტიანი გადაწყვეტილება, რომელიც გაითვალისწინებს ისრაელის ჯარების მთლიან გაყვანას მთელი ოკუპირებული ტერიტორიებიდან, პალესტინელი ხალხის ხელშეუვალი უფლებების უზრუნველყოფას, მათ შორის საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლებას. ამისი გზაა, განაცხადეს ორატორებმა, საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციის დაუყოვნებლივ მოწვევა ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით.

ფოტოფაქტი

**ბეირუთი. მძლავრმა აფეთქებამ შეაზანზარა ლიბანის დედაქალაქის აღმოსავლეთ სექტორის ფურნ-აშ-შუბაქის რაიონი. ახლო მდებარე სახლები დაინგრა, ხანძარი გაუჩნდა ბეწზინის ჩასასხმელ სადგურს, ბეირუთის რადიოს მონაცემებით, ბევრი მცხოვრები დაიღუპა და დაშავდა. ამასთან დაკავშირებით ადგილობრივი პრესა აღნიშნავს, რომ ამ ტერორისტული აქციისათვის პასუხისმგებლობა ისრაელის სპეცსამსახურებს ეკისრებათ, რომლებიც ცდილობენ ასეთი გზით გაამწვავონ ვითარება ლიბანში.**



**სურათზე: აფეთქების ადგილას.**

**რეიტერ-საქდესის ფოტო.**

მოკლედ

**მღელვარება „შავ“ გეტოში**

**◆ ნიუ-იორკი. კვლავ სისხლით შეიღება ფლორიდის შტატის ქალაქ მაიამის ზანგთა უბნები: მასობრივმა მღელვარებამ მოიცვა „შავი“ გეტოს დაახლოებით 2000 მცხოვრები. „ამბოხება“, როგორც მას ხელისუფალნი ახასიათებენ, დაიწყო დემონსტრაციით, რომლის მონაწილენი სოლიდარობას უცხადებდნენ დიუვალიეს დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ ჰაიტის ხალხის ბრძოლას. დემონსტრანტთა გასარეკად ხელისუფლებმა გამოიყვანეს ასობით თავით ფეხამდე შეიარაღე-** [illegible]

[illegible] **იყო დანიშნული ავსტრიის დედაქალაქის ერთ-ერთ რაიონში.**

**ეხმარებიან დიქტატორულ რეჟიმს**

**◆ ჰავანა. სალვადორიდან მიღებული ცნობების თანახმად, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ამ ქვეყანაში ედვინ კორმა განაცხადა, რომ დუარტეს რეჟიმისადმი ამერიკის სამხედრო და ეკონომიკური დახმარების მოცულობა მიმდინარე წელს 550 მილიონ დოლარს შეადგენს. სან-სალვადორში გამოსვლისას მან თქვა, რომ აღნიშნული თანხიდან 180 მილიონი პარტიზანებთან ბრძოლის დასაფინანსებლად არის განკუთვნილი.**

„ჩელენჯერის“ კატასტროფის გამო

## ცდილობენ რწმენის განმტკიცებას

**ვაშინგტონი. გრძელდება იმ კატასტროფის მიზეზების გამოძიება, რომლის შედეგადაც აფეთქდა ამერიკული მრავალჯერადი გამოყენების ხომალდი „ჩელენჯერი“ და დაიღუპნენ ხომალდში მყოფი კოსმონავტები.**

სპეციალური ჯგუფები, რომლებშიც შედიან აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს, პენტაგონისა და სხვა უწყებების წარმომადგენლები, 13 სამხედრო ხომალდისა და ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების ათზე მეტი თვითმფრინავის მეშვეობით ეძებენ ატლანტის ოკეანეში ჩაცვენილ ხომალდის ნაშთებს. როგორც პრესა იუწყება, ამოღებულია ბევრი ნამსხვრევი, მათ შორის, როგორც ვარაუდობენ, ერთ-ერთი მყარსათბობიანი ამჩქარებლის ნაწილი და მართვის კაბინის ხელსაწყოების პანელი. ჰიდროლოკატორების მეშვეობით ოკეანის ფსკერზე აღმოაჩინეს დიდი ობიექტები. ვარაუდობენ, რომ მათ შორის შეიძლება იყოს ხომა- [illegible]

[illegible] ღებულმა ძალებმა „უკვე მტკიცედ მოჰკიდეს ხელი“ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ახალ სისტემათა შემუშავებას.

ნიუ-იორკი. გაზეთი „უოლსტრიტ ჯორნელი“ იუწყება: „ჩელენჯერის“ დაღუპვიდან რამდენიმე საათის შემდეგ „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ განხორციელების ორგანიზაციის ხელმძღვანელი ჯ. აბრახამსონი შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წამყვან მოღვაწეებს და მოუწოდა არ დაეშვან, რომ ტრაგედიამ დააბრკოლოს „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ რეალიზაცია. როგორც ადგილობრივი მეთვალყურენი აღნიშნავენ, ეს შეხვედრა მოაწყო ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო უწყებამ იმის შიშით, რომ კატასტროფა კიდევ უფრო სკეპტიკურად განაწყობს კანონმდებლებს „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის მიმართ და გავლენას მოახდენს მათ გადაწყვეტილებაზე პენტაგონისათვის პრო- [illegible]

[illegible] სტრაციის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მან მოუწოდა შექმნან „შატლის“ ტიპის ახალი კოსმოსური ხომალდი.

იმ დროს, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია დაჩქარებული ტემპით ახორციელებს კოსმოსური ბაზირების ელემენტებით აღჭურვილი ფართო მასშტაბის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნის პროგრამას, კაპიტოლიუმის ბორცვზე უკვე ახლა გაისმის მოწოდებანი შექმნან მის დამატებით საშუალო სიშორისა და ტაქტიკური რაკეტებისაგან თავდაცვის სისტემა. რამდენიმე ასეთი სისტემის განლაგება მოუწოდა სენატორმა დენ კუეილმა. სენატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომიტეტის სტრატეგიული და ტაქტიკური ბირთვული ძალების ქვეკომიტეტში გამოსვლისას მან, კერძოდ, განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარა- [illegible]

[illegible] ბის ფართო კამპანია, რათა გაუქარვოს ეჭვები ამერიკელებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ „ჩელენჯერის“ დაღუპვა სერიოზული გაფრთხილებაა იმათთვის, ვინც კოსმოსში შეიარაღების სისტემის განლაგების გეგმებს აწყობს.

სულ უფრო მეტი ამერიკელი გამოთქვამს შეშფოთებას, რომ „ჩელენჯერის“ კატასტროფამ დაადასტურა: კოსმოსურ სახეობათა იარაღის განლაგება უდიდეს საფრთხეს უქადის კაცობრიობას, ვინაიდან კომპიუტერებში შეიძლება მოხდეს შეფერხება, რასაც გლობალური კატასტროფა მოჰყვება. „ჩელენჯერის“ ტრაგედიამ ცხადყო: შეუძლებელია შექმნა იდეალურად სრულყოფილი მექანიზმები, მათ შორის სამხედრო მიზნებისათვის განკუთვნილი კომპიუტერები, განაცხადა ამერიკელ მეცნიერთა ფედერაციის წარმომადგენელმა ჯონ პაიკმა.

ჩვენი კომენტარი

## რა მოხდა სამხრეთ იემენში

**ტრაგიკული** მოვლენები, 13 იანვარს რომ დაიწყო ადენში, ძვირად დაუჯდა სამხრეთიემენელ ხალხს. ყველაზე მიახლოებითი გამოანგარიშებითაც კი ამ ამბებმა 12 ათასზე მეტი კაცი შეიწირა, ხოლო ეკონომიკისათვის მიყენებული ზარალი, არაბი და დასავლეთევროპელი სპეციალისტების შეფასებით, დაახლოებით ოთხ მილიარდ დოლარს უდრის. როგორც თვითმხილველნი ამბობენ, ქვეყნის დედაქალაქში, რომლის ქუჩებშიც რამდენიმე დღეს არ დაცხრალა გააფთრებული ბრძოლები ტანკების, ავიაციისა და არტილერიის მონაწილეობით, სახლი არ დარჩენილა, ტყვია, ჭურვი ან ყუმბარის ნამსხვრევი რომ არ მოხვედროდეს, ბევრი შენობა ნანგრევებად იქცა.

ეს მძიმე დარტყმაა განვითარებადი ქვეყნისათვის, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრი რამ ჰქონდა გასაკეთებელი, რათა განევითარებინა ეკონომიკა და გადაელახა ბრიტანეთის პროტექტორატის დროიდან მემკვიდრეობად დარჩენილი სიძნელეები საერთაშორისო ასპარეზზე. იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა დამოუკიდებელ გზას ადგა, თანმიმდევრულად ახორციელებდა ანტიიმპერიალისტურ კურსს. ქვეყანაში ხორციელდებოდა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნების ფართო პროგრამა, რომლის მიზანი მშრომელთა კეთილდღეობა იყო. იემენის სოციალისტური პარტია ხალხს პერსპექტივაში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას უსახავდა მიზნად.

მაგრამ თავს იჩენდა ოდესღაც კოლონიური და დამოკიდებული ბევრი ქვეყნისათვის დამახასიათებელი პრობლემები. შეუძლებელი იყო საზოგადოების ტრადიციული მრავალგვარობის, გვარტომობრივი დაქსაქსულობის ერთი ხელის დაკვრით ამოძირკვა. მეცნიერული სოციალიზმი — მსხვილი სამრეწველო პროლეტარიატის იდეოლოგია იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა საფუძვლად დაუდეს შემოქმედებითს რევოლუციურ გარდაქმნებს, მაგრამ ამ იდეოლოგიის სრულად და სწორად აღქმაში მათ ხელს უშლიდა მომთაბარე ბედუინი ტომების ცხოვრების წესით ნასაზრდოები ტრადიციები. ჩვეული იდეოლოგიის გადმონაშთებისაგან ვერ განთავისუფლდა მთელი რიგი სამხრეთიემენელი ხელმძღვანელების მსოფლმხედველობაც: ქვეყნის პარტიული აპარატი და სახელმწიფო ორგანოები პირად საფუძველზე ან ამა თუ იმ ტომობრივი დაჯგუფებისადმი კუთვნილების საბაბით წარმოშობილი ფრაქციული მეტოქეობის ასპარეზი გახდა. ეს მეტოქეობა აშკარა შეტაკებად იქცა, რომელშიც ჩაბმული აღმოჩნდნენ არმია, ავიაცია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი.

იემენის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობამ ერთი და ორი დღე როდი მოანდომა შეიარაღებული კონფლიქტის ჩაქრობას და იმას, რომ თავიდან აეცილებინა მასში მომთაბარე ტომების რაზმების ჩაბმა. იემენის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საგანგებო პლენუმმა გადამჭრელი ზომები მიიღო ვითარების მოსაწესრიგებლად და 29-30 იანვრისათვის პრაქტიკულად ყველა პროვინციაში აღდგა მშვიდობა. იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობის დროებით შემსრულებლად პლენუმმა პრემიერ-მინისტრი ჰ. აბუ ბაქრ ალ-ათასი დანიშნა.

ახლა სამხრეთ იემენის ხელმძღვანელთა მთავარი საზრუნავი გახდა ისეთი უბრალო საკითხების მოგვარება, როგორიცაა წყალმომარაგება, ტრანსპორტი, ელექტროდენი და კავშირგაბმულობა. ბევრი რამ უკვე გაკეთდა, ცხოვრება ჩვეულ კალაპოტში ექცევა, დაზარალებულთ დახმარება გაუწიეს საბჭოთა კავშირმა, სხვა ქვეყნებმა, საერთაშორისო წითელმა ჯვარმა. სამხრეთ იემენმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ კვლავაც წინანდელ საგარეო-პოლიტიკურ და საშინაო კურსს განახორციელებს. გადატანილი კრიზისის პოლიტიკური შედეგების ლიკვიდაცია, ნათქვამია ქვეყნის ხელმძღვანელობის განცხადებაში, რესპუბლიკის საშინაო საქმეა და იგი არ დაუშვებს, რომ ცხოვრების ნორმალიზაციას ხელი შეუშალოს გარედან ჩარევამ.

### უკანასკნელ საათს

**ადენი.** აქ გაიმართა იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის უზენაესი სახალხო საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, მას ხელმძღვანელობდა პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, პრემიერ-მინისტრი ჰ. აბუ ბაქრ ალ-ათასი, რომელიც დროებით ასრულებს პრეზიდენტის მოვალეობას.

განიხილეს იემენის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ვითარების საკითხები. მოიწონეს შეფასებანი, რომლებიც იემენის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამა წლის 24 იანვრის პლენუმზე მიეცა ქვეყანაში მომხდარ ამბებს.

სხდომის შედეგების გამო მიღებული განცხადება შეიცავს მოწოდებას ხალხის ფართო მასებისადმი ყველაფერი იღონონ შრომის ნაყოფიერების ზრდის, სახელმწიფო და კოოპერაციული სექტორების საწარმოთა ეფექტიანი საქმიანობისათვის. აღინიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის წვლილსა და ინიციატივიან მონაწილეობას წესრიგის დასამყარებლად და დანგრეული ობიექტების აღსადგენად მიმდინარე მუშაობაში.

### უცხოური იუმორი

— **მაშასადამე,** თქვენი ქმარი მთვარეულია, არა? — ჰკითხა მკურნალმა ევას, — ხომ არ იცით, ლოგინიდან რომ წამოდგება, სად მიდის ხოლმე!

— სამზარეულოში, სადაც კონიაკის ბოთლები აწყვია.

• • •

**მოსამართლემ** მკაცრად შეხედა ფირმის მეპატრონის მდივან ქალს, რომელიც ფირმის გაკოტრების თაობაზე ჩვენებას აძლევდა.

— ხომ იცით, ცრუ ჩვენებისთვის რასაც მიიღებთ!

— დიახ, შეფი ორი ათას მარკას შემპირდა.

• • •

— **მაშასადამე,** გუშინ ქუჩაში თავს დაგესხნენ!

— დიახ, ჩემო ბატონო, საფულე და საათი წამართვეს.

— ამბობენ, რომ თურმე ჯიბეში დატენილი რევოლვერი გედოთ.

— მართალია, მაგრამ, ბედად, [illegible]

• • •

— **წარმოგიდგენია,** ჩემმა ბიჭუნამ ჩემი ახალი მოთხრობის ხელნაწერი ცეცხლში ჩააგდო.

— ნუთუ სამი წლისამ უკვე იცის კითხვა?

• • •

— **ახლა** რას აკეთებ?

— მემუარებს ვწერ.

— კარგი საქმეა. უკვე მიხვედი იმ ადგილამდე, ასი მარკა რომ გასესხე?!

• • •

— **მწერლობა** დაგიწყიათ!

— ჰო, პენსიაზე გავედი!

### ერიჰაა!



**შვეიცარია. ეს სახმარად უვარგისი მანქანა თავის „თანამოძმეთა“ ხვედრს — სანაგვეს — მხოლოდ პატრონის ერთგულების წყალობით გადაურჩა. მან იგი ბაზელის მახლობლად თავის სახლის კედლებში ჩაამონტაჟა.**

**რეიტერ-საქდესის ფოტო.**

### შემთხვევა



**ტრაგიკულად დამთავრდა აფრიანი ხომალდით ატლანტიკის გადასერვის რეკორდის დამყარების ცდა, რომელიც ფრანგ იახტსმენთა ეკიპაჟმა პატრიკ მორვანის მეთაურობით განახორციელა. კატამარანი „ჯეთ სერვისი“, რომელიც შარშან 16 დეკემბერს ნიუ-იორკიდან გავიდა, ძლიერ ღელვაში მოხვდა და გადაბრუნდა. ესპანეთის ხელისუფლების მიერ განხორციელებული ოპერაციების შედეგად ერთი იახტსმენის გარდა მთელი ეკიპაჟი გადაარჩინეს. მოგზაურობის სამი მონაწილე მძიმედ დაშავდა და ჰოსპიტალში მოათავსეს.**

**გაზეთი „ლუმანიტე“ აღნიშნავს, რომ ფრანგი სპორტსმენები ზამთრის ქარების პერიოდში ხანმოკლე ნოდ მსხვილი კორპორაციების სურვილისამებრ გაემგზავრნენ, რომლებმაც ექსპედიცია დააფინანსეს.**

**სურათზე: „ჯეთ სერვისი“ ლაკორუნიას ნავსადგურის აკვატორიაში.**

**აპ-საქდესის ფოტო.**

ჭადრაკი

## დღეს გადამწყვეტი ორთაბრძოლებია

— ბუნე [illegible] სასახლეში თავისუფალ ჭიდაობაში მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრების მონაწილეებს ყურადღებით დააკვირდებოდა, საქართველოს ათლეტთაგან უთუოდ სამს გამოჰყოფდა — ზურაბ ტატუაშვილს (52 კგ-მდე წონა), ლერი ხაბელოვს (100 კგ) და დავით გობეჯიშვილს (130 კგ). პირველ სამ წრეში სამივემ სამ-სამი გამარჯვება იზეიმა და სამივეს მნიშვნელოვანი წარმატების შანსები აქვს. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ მომდევნო ორთაბრძოლებს როგორ დაამთავრებენ. ტატუაშვილმა პირველ სამ წრეში შესაბამისად ქულათა საკმაოდ მნიშვნელოვანი უპირატესობით ნ. აივაზიანი, ა. კირკესნერი (ორივე — სსრ კავშირი) და მუნ ხი ნამი (კორეის სახალხო რესპუბლიკა) დაამარცხა. ამ სამ მეტოქესთან ტატუაშვილმა 43 მომგებიანი ქულა „გამოიმუშავა“. ასეთი აქტივი, ალბათ, მთელ გუნდს თუ არა, 4-5 მოჭიდავეს წარმატების იმედს ჩაუსახავდა. ხაბელოვმა [illegible]

[illegible] ისევ წმინდა გამარჯვება დაემატა.

საქართველოს ნაკრების წევრმა ეგია მუსოიანმა (57 კგ) ზედიზედ ორი გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ ფეხი იტკინა და ბრძოლას გამოეთიშა. დანარჩენ წონითს კატეგორიებში ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეთა მიერ მოპოვებული შედეგები მოკრძალებულია და ცხადია, ისინი საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლაში ვერ ჩაერევიან.

გუშინ საღამოს მეოთხე წრის შეხვედრები მოეწყო. დღეს დილით მომდევნო ეტაპის, საღამოს კი ფინალური ორთაბრძოლები გაიმართება.

ს. დევიძე.

## სატურნირო ორბიტა

**ფეხბურთი.** მოსკოვში დამთავრდა უმაღლეს ლიგაში მონაწილე დინამოელთა გუნდების მინი-შეჯიბრება. პირველი ადგილისათვის გამართულ მატჩში მინსკელებმა დაამარცხეს თბილისელი დინამოელები ანგარიშით 2:1. მესამე ადგილისათვის ერთმანეთს შეხვდნენ კიეველები და მოსკოველები. მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 1:1. პენალტების სერიით გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 5:4.

**ძიუდო.** მინსკში დამთავრებულ ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე თბილისელთაგან თავი ისახელეს გ. ხოსიტაშვილმა (65 კგ) და გ. ზერუაშვილმა (95 კგ). მათ ჩინებულად იასპარეზეს და პირველ ადგილებს დაეუფლნენ.

**ველოსპორტი.** კუბის გზებზე დაიწყო აგუსტინ კანტარის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული მრავალდღიანი შეჯიბრება. პირველი ეტაპი (110 კმ) მოიგო ხარკოველმა ოლეგ იაროშენკომ — 2:38.33. ფინიშთან მეორე იყო კლაიპედელი ივანე რომანოვი, რომელმაც წინადღეს რბოლის პროლოგი მოიგო.

**ფიგურული ციგურაობა.** კოპენჰაგენში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე მეძლების კომპლექტი განაწილეს ვაჟებმა. აქ პირველობა დაისაკუთრა ი. საბოვჩიკმა (ჩეხოსლოვაკია), მეორე ადგილზე გამოვიდა ვ. კოტინი, მესამეზე — ა. ფადეევი, მეოთხეზე — ვ. პეტრენკო (სამივე — სსრ კავშირი).

**სათხილამურო სპორტი.** ბაკურიანში დამთავრებულ საკავშირო ჩემპიონატზე ქალთა შორის 10 კილომეტრზე რბოლაში გაიმარჯვა სიქტივკარელმა რ. სმეტანინამ. მეორე ადგილზე გამოვიდა უსტინოველი ი. შამშურინა, მესამეზე — ვლადიმირელი ა. რეზცოვა. ვაჟთა შორის 15 კილომეტრზე რბოლაში საკავშირო თასი გათამაშდა. აქ პირველი ადგილი დაიკავა პერმელმა მ. დევიატიაროვმა, მეორე — ჩერნიგოველმა ა. ბატიუკმა, მესამე — უსტინოველმა ვ. ნიკიტინმა.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

### მოსკოვი

**2 თებერვალი**

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — რიტმული ტანვარჯიში. 10.10 — დოკუმენტური ტელეფილმი. 10.20 — სპორტლოტო. 10.30 — მაღვიძარა. 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — დილის ფოსტა. 12.30 — მოგზაურთა კლუბი. 13.30 — მუსიკალური კიოსკი. 14.00 — სოფლის საათი. 15.00 — შეხვედრები საბჭოეთში. 15.15 — ლიტერატურული ალმანახი. 16.20 — „ყვავილები თქვენს სახლში“. 16.45 — უკრავს ს. ბუნინი (ფორტეპიანო). 17.40 — ეს თქვენ შეგიძლიათ. 18.25 — მულტფილმები. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — ფიგურული ციგურაობა. 22.00 — „ვრემია“. 22.45 — ეკრანის ოსტატები. ნ. ჩერკასოვი.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — ნორჩთა შემოქმედება. 9.50 — დოკუმენტური ტელეფილმი. 10.05 — დ. შოსტაკოვიჩი. მეხუთე სიმფონია. 10.55 — ტაჯიკეთის ტელევიზიის პროგრამა. 12.00 — „რას გვიამბობენ ნახატები“. 12.20 — რუსული მეტყველება. 12.50 — მხატვრული ტელეფილმი „მემკვიდრენი“. მეორე სერია. 14.00 — „მუსიკა თეატრში, კინოსა და ტელევიზიაში“. 15.45 — გვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 16.15 — მსოფლიო და ახალგაზრდობა. 16.50 — „უცხოური ფილმის ეკრანი“. „მასხარის ბედი“. 18.20 — ხალხური მელოდიები. 18.35 — კლასიკური ჭიდაობა. 19.05 — კამერული ანსამბლი „რომის ახალი ვირტუოზები“ ასრულებს ბ. მარჩელოს, ა. ვივალდის და ლ. ბოკერინის ნაწარმოებებს. 20.00 — აშკარა — დაუჯერებელი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“ 21.15 — ქალაქ კალინინის არქიტექტურული ძეგლები. 21.45 — „საბჭოთა კავშირი“. კინოჟურნალი. 21.55 — რეკლამა. 22.00 — „ვრემია“. 22.45 — მოცარტის საოპერო თეატრი. 23.45 — ფიგურული ციგურაობა.

**3 თებერვალი**

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — მულტფილმები. 10.15 — კონცერტი. 10.45 — მხატვრული ფილმი „ჯულბარსი“. 12.00 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — „სოფლის ჰორიზონტები“. 16.40 — კონცერტი. 17.20 — იცოდე და ისწავლე. 18.50 — „გაეცანით: შრი ლანკა“. კინონარკვევი. 18.05 — ბავშვებს მხეცების შესახებ. 18.35 — კლასიკური ჭიდაობა. 19.05 — მულტფილმი. 19.15 — დაჩქარება. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — სიფხიზლე ცხოვრების ნორმაა. 20.30 — ტელესპექტაკლი „თქვენი ქალიშვილი ალექსანდრა“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ბალეტის მსახიობთა კონცერტი. 23.40 — დღეს მსოფლიოში. 23.55 — სპორტი გასულ კვირაში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ფილმი. 9.35 — ბუნებისმეტყველება. მესამე კლასი. 9.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 10.05 — რუსული მეტყველება. 10.55 — დ. კედრინის პოეზია. 11.35 — ბოტანიკა. მეექვსე კლასი. 11.55 — მეცნიერება და ცხოვრება. 12.25 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 13.05 — მუსიკის გაკვეთილი მასწავლებელს. 14.20 — ა. ს. პუშკინი. „ევგენი ონეგინი“. მე-8 კლასი. 14.50 — დოკუმენტური ტელეფილმი. 15.20 — ა. მ. გორკი. „ხალხში“, „ჩემი უნივერსიტეტები“. 16.05 და 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს. 20.15 — საერთაშორისო პანორამა. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო“. 21.15 — ჯანმრთელობა. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მხატვრული ფილმი „მოსახვევი“. 0.15 — ახალი ამბები.

### თბილისი

**2 თებერვალი**

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.20 — თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.30 — მაღვიძარა. 11.00 — სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები. 11.30 — კინოაფიშა. 12.00 — დილის ფოსტა. 12.30 — საკვირაო გამოფენა. 12.35 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 13.05 — „ჯანმრთელობა“. 13.35 — საკვირაო გასართობი პროგრამა. 14.15 — საკვირაო გამოფენა. 14.20 — ამბავი ნამდვილი ადამიანებისა. მხატვრული ფილმი „ვალენტინა“. 16.05 — „ვესტნიკი“. 16.35 — საკვირაო გამოფენა. 16.40 — თბილისი და თბილისელები. 17.15 — მოსწავლეთათვის. მღერის ანსამბლი „სალხინო“. 17.50 — ბუნების კარი. 18.35 — აქტუალური ეკრანი. 18.55 — საკვირაო გამოფენა. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — ზღაპრის გუდა. 20.00 — მოამბე. 20.40 — სკკპ 27-ე ყრილობის შესახვედრად ადამიანის ფაქტორი (გადაცემა მესამე). 21.15 — საკვირაო გამოფენა. 21.20 — მწერალი და ცხოვრება. პოეტ მ. ლებანიძის შეხვედრა სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მშრომელებთან. 22.00 — „ვრემია“. 22.45 — ახალგაზრდობისათვის. თბილისის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. 23.30 — მღერის ლილი გეგელია.

**3 თებერვალი**

პირველი პროგრამა. 16.15 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.25 — მოსწავლეთათვის. რუსული ენა. 16.55 — თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 17.05 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ცნობი და უცნაური“. 17.35 — მოსწავლეთათვის. საქართველოს ისტორია. 18.05 — „ბავშვებს მხეცების შესახებ“ (გადაცემა ლენინგრადიდან). 18.35 — „თეატრი და ბავშვები“ (განმეორებით). 19.20 — განცხადებები. 19.25 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — მოამბე. 20.30 — საბჭოთა სიმღერის კონცერტი. 21.10 — სკკპ 27-ე ყრილობის შესახვედრად. ახალი გეგმები, ახალი ამოცანები. გვიამბობენ ყრილობის დელეგატები. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — პირველად ჩვენს ეკრანზე. სატელევიზიო მხატვრული ფილმი „სკაპენის ოინები“. პირველი სერია. 23.35 — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 16.35 — მხატვრული ფილმი „გახსნილი გული“. 17.35 — განცხადებები. 18.00 — დოკუმენტური ფილმი „პროფესორ ტოვსტონოგოვის სარეჟისორო გაკვეთილები“.

### თეატრი

**2 თებერვალი**

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — შოპენიანა, კარმენ სუიტა (დღისით, 1-ლი აბონ. მე-5 წარმ.). რიგოლეტო (საღამოს, 59-ე აბონ. მე-7 წარმ.); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — კონცერტი ორი ვიოლინოსათვის აღმოსავლური საკრავების თანხლებით (დღისით და საღამოს); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ისევ ვოდევილები (დღისით), პირისპირ (საღამოს); თბილისის სახელმწიფო დრამატული — ჭინჭრაქა (დღისით, მე-2 აბონ. მე-3 წარმ., საღამოს, მე-4 აბონ. მე-3 წარმ.); აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სიმღერა მაინც დამიტოვეთ (დღისით), ძველი სახლი (საღამოს); მინიატიურების სახელმწიფო — პაემანი ხეზე ანუ ბესარიონის თავგადასავალი; მოზარდ მაყურებელთა ქართული — ის მაინც ბრუნავს (აბონ. № 25, 12 ს. აბონ. № 26, 2 ს.), თავისუფალი თემა (აბონ. № 31, 7 ს.).

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07239 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14